ახალი განათლება

20-26.06.2019

№25 (859) გამოდის 1998 წლიდან

www.akhaliganatleba.ge



❖ ზოგადსაგანმანათლებლო დანესებულების მიერ მასწავლებლის შეფასების შედეგების ან/და მასწავლებლისთვის სქემით განსაზღვრული სტატუსის მინიჭების შესახებ წინადადებების ელექტრონულ სისტემაში განთავსების ვადად განისაზღვრა:

⇨ 2019 წლის 25 ივნისიდან 2019 წლის 8 ივლისის ჩათვლით პერიოდი – უფროსი და წამყვანის სტატუსის მქონე მასწავლებლებისთვის;

⇨ 2019 წლის 9 ივლისიდან 2019 წლის 28 ივლისის ჩათვლის პერიოდი – პრაქტიკოსი მასწავლებლებისთვის.

❖ 17 ივნისს სამეურვეო საბჭოს არჩევნების პროცესმა ხარვეზების გარეშე, მშვიდ ვითარებაში ჩაიარა. საქართველოს 2084 საჯარო სკოლიდან არჩევნები 2071 საჯარო სკოლაში ჩატარდა. კანდიდატების არარსებობის გამო, არჩევნები არ გამართულა მცირეკონტინგენტიან და იმ ორ საჯარო სკოლაში, რომელიც საქართველოს მიერ არაკონტროლირებად ტერიტორიაზე მდებარეობს.

ამომრჩეველთა გამოუცხადებლობის გამო, არჩევნები არ შედგა მხოლოდ ერთ სკოლაში; კანდიდატთა მიერ თანაბარი რაოდენობის ხმების დაგროვების გამო კი, 55 საჯარო სკოლაში, არჩევნების მეორე ტური დანიშნა, რომლის თარიღს, შვიდი კალენდარული დღის ვადაში, სკოლის საარჩევნო კომისია თავად განსაზღვრავს.

Microsoft და საქართველოს განათლების სამინისტროს ახალი გამოწვევები

გვერდი 3

როგორ დაიწერა „ცუგა“

13 ჩრევა

საბავშვო მწერლებისა და მწერალი მასწავლებლებისთვის გიორგი ჭაუჭიძისგან



გვერდი 4

თანამედროვე სამყაროს მთავარი საყრდენი

პედაგოგებში კრიტიკული აზროვნების მნიშვნელობის აქტუალიზაციისა და სწავლა-სწავლებაში მისი გამოყენების ხელშეწყობის მიზნით, ოთალიცამ „განათლება ყველასათვის“, „სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისა და მოქალაქეობის ჩართულობის“ ფინანსური მხარდაჭერით, დაიწყო პროექტი „მასწავლებლები კრიტიკული აზროვნებისთვის“. პროექტი ითვალისწინებს, დროის მოკლე მონაკვეთში, ინტენსიური კამპანიის წარმოებას მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს „ათეული ათების“ მონაწილეობით. ტულებში გაერთიანებული არიან 2017-2018 წლებში ჯილდოს საუკეთესო ათეულის მასწავლებლები, რომლებიც თავიანთი პროფესიონალიზმითა და გამორჩეული მიდგომების გამო მაღალი ნდობით სარგებლობენ და კოლეგებისთვის გარკვეული როლის მოდელსაც წარმოადგენენ.

გვერდი 2

ათეულთა კლუბი

კრიტიკული აზროვნება – თანამედროვე სამყაროს მთავარი საყრდენი

ლალი ჯელაძე

პედაგოგებში კრიტიკული აზროვნების მნიშვნელობის აქტუალიზაციისა და სწავლა-სწავლებაში მისი გამოყენების ხელშეწყობის მიზნით, კოალიციამ „განათლება ყველასათვის“, „სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისა და მოქალაქეობის ჩართულობის“ ფინანსური მხარდაჭერით, დაიწყო პროექტი **„მასწავლებლები კრიტიკული აზროვნებისთვის“.** პროექტი ითვალისწინებს, დროის მოკლე მონაკვეთში, ინტენსიური კამპანიის წარმოებას მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს „ათეულთა კლუბის“ მონაწილეობით. კლუბში გაერთიანებული არიან 2017-2018 წლებში ჯილდოს საუკეთესო ათეულის მასწავლებლები, რომლებიც თავიანთი პროფესიონალიზმითა და გამორჩეული მიდგომების გამო მაღალი ნდობით სარგებლობენ და კოლეგებისთვის გარკვეულ როლურ მოდელსაც წარმოადგენენ.

რა გახდა პროექტის დაწყების მიზეზი და რა შედეგებს ელიან მისი განხორციელებით, ამის შესახებ კოალიციაში ამბობენ, რომ საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილს სათანადოდ არ აქვს განვითარებული თანამედროვე მოქალაქეობრივი კომპეტენციები, რომელთაგანაც განსაკუთრებულად პრობლემურია კრიტიკული აზროვნების უნარი. ეს გარემოება მნიშვნელოვნად აფერხებს დემოკრატიის განვითარებას ქვეყანაში, რადგან მოქალაქეებს უჭირთ ინფორმაციის გაანალიზება, დეზინფორმაციის/პროპაგანდის იდენტიფიცირება და სანდო წყაროსგან გარჩევა, პოლიტიკური პროცესების რაციონალური შეფასება, გააზრებული არჩევანის გაკეთება, ადვილად ექვემდებარებიან მანიპულაციას და სხვა.

მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს ფარგლებში მხოლოდ დაჯილდოების ღონისძიება არ ტარდება, ეს არის კამპანია, რომელიც, მთელი წლის განმავლობაში, სხვადასხვა აქტივობებით გრძელდება. გასულ წელს, ჯილდოს მონაწილე საუკეთესო ათეულის მასწავლებლებისთვის „ათეულთა კლუბი“ დაარსდა, რომელშიც ჯერ ჯილდოს 20 ნახევარფინალისტი მასწავლებელია გაერთიანებული. ყოველწლიურად კლუბს ათი მასწავლებელი შეემატება. კოალიციის დირექტორი **გიორგი ჭანტურია** ამბობს, რომ: *„ეს არის გამოკვეთილი ჯგუფი მასწავლებლებში და მათ გამოცდილებას ბევრ რამეში ვეყრდნობით. ჩვენი სურვილია, ათეულთა კლუბის წევრებმა საკუთარი გამოცდილება დანარჩენ მასწავლებლებს გაუზიარონ. ეს პროექტიც სწორედ მათთან თანამშრომლობის ნაწილია. Access-ის დაფინანსებით, დავიწყეთ პროექტის განხორციელება, რომლის მთავარი მიზანია კრიტიკული აზროვნების აქტუალიზაცია თავად მასწავლებლებში. გვინდა, რომ ათეულის წევრები კრიტიკული აზროვნების შესახებ ესაუბრონ კოლეგებს. დარწმუნებული ვარ, რომ ისინი კოლეგებისგან უფრო მიიღებენ რჩევებს, მათივე გამოცდილებიდან, ვიდრე, მაგალითად, ექსპერტებისგან, სამინისტროსგან ან სხვა გარეშე პირებისგან. რაც მთავარია, ეს არ იქნება ჭკუის სწავლება, არამედ თანამშრომლობა/საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება უშუალოდ კოლეგებისგან, როგორ უვითარებენ კრიტიკულ აზროვნებას თავიანთ მოსწავლეებს. თანამედროვე სამყაროში მაღალსაზროვნო უნარი გადამწყვეტია იმისათვის, რომ მოსწავლეებმა ცხოვრებაში გზა გაიკვლიონ. სულ რომ კარგად იცოდნენ საგანი, ამ უნარის გარეშე მათი განვითარება შეუძლებელია. ეს არის უნარი, რომელზეც მილიონი რამ შეიძლება დააშენონ, არ მოტყუვდნენ ბევრ რამეში, დასვან სწორი და გააზრებული კითხვები. თუნდაც, მარტივი მაგალითი რომ ავიღოთ - ვის უნდა მისცენ ხმა არჩევნებზე. მათ ამისთვის თავიანთი არგუმენტები, მტკიცებულებები უნდა ჰქონდეთ, რომ პოლიტიკოსებმა არ „მოატყუონ“.*

ჩვენი ამოცანაა, ამ პროექტით გავუკეთოთ აქტუალიზაცია კრიტიკულ აზროვნებას მასწავლებლებში. დარწმუნებული ვარ, ამას ბევრი ისედაც აკეთებს, მაგრამ ნებისმიერი საგნის სწავლებისას არა ფრაგმენტული, არამედ სწავლების პროცესის ნაწილი უნდა გახდეს, მათ შორის ტექნიკური ან საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებისას. ამის საუკეთესო მაგალითია დაჩი ნანობაშვილის სწავლების მეთოდები მათემატიკაში ან ელისო აბრამიშვილის მეთოდები ქიმიის სწავლებისას.

პროექტში 8 მასწავლებელია ჩართული. მოვამზადებთ ვიდეორგოლებს, სადაც ისინი მოყვებიან რატომ არის მნიშვნელოვანი კრიტიკული აზროვნება და როგორ უვითარებენ ამ უნარს მოსწავლეებს თავიანთ პრაქტიკაში. პროექტის ბოლოს ჩავატარებთ შემაჯამებელ ღონისძიებას, ასევე, მათივე ჩართულობით მოვამზადებთ გზამკვლევს, პროექტის მონაწილე მასწავლებლების პრაქტიკაზე დაყრდნობით. ეს არ იქნება ტრადიციული გზამკვლევი, სადაც მხოლოდ მითითებებია. ეს იქნება გამოცდილების გაზიარება, კონკრეტული მაგალითები თუ როგორ უნვითარებენ მასწავლებლები კრიტიკულ აზროვნებას მოსწავლეებს.“

პროექტის სპონსორია ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ (USAID) დაფინანსებული პროგრამა Access – მოქალაქეთა ჩართულობისა და სამოქალაქო განვითარების პროექტი. მისი წარმომადგენელი **თამარ გურჩიანი** მიიჩნევს, რომ კოალიციის მიერ წარმოდგენილი პროექტი მათთვის საინტერესო აღმოჩნდა, რადგან მასწავლებლები მოსწავლეებს ზუსტად კრიტიკული აზროვნების უნარს უნდა უვითარებდნენ, თუმცა, ამისთვის, პირველ რიგში, უშუალოდ მასწავლებელი უნდა იყოს ამ უნარით და შესაბამისი განათლებით აღჭურვილი. *„თუკი მასწავლებელი თავად არ არის მაგალითი, ბუნებრივია, ვერ შეძლებს ამის გადაცემას მოსწავლეებისთვის. ეპოქაში, სადაც მედიანიგნიერების სერიოზული პრობლემაა, დიდია ყალბი ახალი ამბებისა და სოციალური მედიის (სოციალური მედია, გვინდა თუ არ გვინდა, დიდ როლს თამაშობს განსაკუთრებით ახალგაზრდების ცხოვრებაში) გავლენა. ძალიან მნიშვნელოვანია, ახალგაზრდები აღჭურვილები იყვნენ კრიტიკული აზროვნების უნარებით. მათ უნდა შეძლონ იმ ინფორმაციის კრიტიკულად შეფასება, რასაც ყოველდღიურად იღებენ. მასწავლებლების მხრიდან ჭკვიანური გადაწყვეტილებაა, რომ ამისთვის პლატფორმად, ისევ და ისევ, სოციალურ მედიას გამოიყენებენ.*

ჯერ მხოლოდ დასაწყისია და რთულია პროექტის შედეგებზე საუბარი. თუმცა, ძალიან ოპტიმისტურად ვართ განწყობილები, გვჯერა, რომ სერიოზულ გავლენას მოახდენს მასწავლებლებზე და კრიტიკული აზროვნების აქტუალიზებაზე.“ – ამბობს თამარ გურჩიანი.

პროექტის მონაწილეებად შერჩეული „ათეულთა კლუბის“ წევრები საუბრობენ საკუთარ გამოცდილებაზე – რატომ არის კრიტიკული აზროვნება მნიშვნელოვანი და რა როლი აქვს მასწავლებელს მის განვითარებაში?

დაჩი ნანობაშვილი, საერთაშორისო აკადემია „ლოგოსის“ დაწყებითების მათემატიკის მასწავლებელი, 2018 წლის ფინალისტი, ათეულთა კლუბის წევრი:

„პირველ რიგში, უნდა ითქვას, რომ კრიტიკული აზროვნება თანდაყოლილი არ არის, ეს არის უნარი, რომელიც ვითარდება. კრიტიკული აზროვნების მეშვეობით ადამიანი აანალიზებს, არგუმენტირებულად აფასებს, ინტერპრეტირებს, განმარტავს, ასაბუთებს, ზოგადად, მსჯელობს თანმიმდევრულად. აქედან გამომდინარე, ეს უნარი ძალიან მნიშვნელოვანია მოზარდებისთვის და მათი განვითარებისთვის. ამისთვის კი, მასწავლებელი თავად უნდა იყოს კრიტიკულად მოაზროვნე. თუ მას არ შეუძლია მოსწავლის მოსაზრებების (თუნდაც, არასწორის) მოსმენა/გაანალიზება, არგუმენტირებულად იმის დასაბუთება, რატომ ცდება იგი, მაშინ მისი გაკვეთილი, მზა ინფორმაციის გადაცემას დაემსგავსება და ბევრ კითხვას დატოვებს პასუხგაუცემელს.

ხშირად ჩნდება კითხვა – შესაძლებელია თუ არა კრიტიკული აზროვნების განვითარება? რა თქმა უნდა, ეს შესაძლებელიცაა და აუცილებელიც. საგაკვეთილო პროცესის დროს მხოლოდ ინფორმაციის გადაცემა არაფრის მომცემია, მასწავლებელმა უნდა შეძლოს, მოსწავლეები დააფიქროს საკითხებზე, შემდეგ გაიმართოს მსჯელობა, იკამათონ კიდევაც, მაგრამ, ყველაფერი უნდა მოხდეს დასაბუთებით. სწორი კითხვის დასმა უმნიშვნელოვანესია – მასწავლებელმა სწორად უნდა შეარჩიოს კითხვები და არც ერთ შემთხვევაში არ გაუკეთოს იგნორირება მოსწავლეების მიერ დასმულ კითხვებს, რადგან, ხშირ შემთხვევაში, მათგან ძალიან კარგი მესიჯები მოდის. ამ კითხვებზე ჯანსაღი დისკუსია უნდა გაიმართოს, ბავშვები ერთმანეთს უნდა უსმენდნენ. ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

ვცდილობ, ჩემი საგანი, მათემატიკა, არ ვასწავლო მხოლოდ რთული მათემატიკური ოპერაციებით და ფორმულებით. მინდა, მათ ვასწავლო ფიქრი და სხვისი მოსაზრების არგუმენტირებული შეფასება. ძალიან ხშირად ვსვამ კითხვას – რატომ ფიქრობ შენ ასე? ან რატომ ფიქრობ, რომ შენი მეგობარი ცდება? მათ ამის დასაბუთება ხშირად უწევთ საგაკვეთილო პროცესში. რადგან პატარა ასაკის ბავშვებთან მიწევს ურთიერთობა, ძირითადად, ისინი ინტუიციურად ახდენენ ფოკუსირებას მხოლოდ რიცხვებზე და შინაარსობრივ სიღრმეებში ვერ შედიან. ამიტომ პასუხს ხშირად სწორად ამბობენ, მაგრამ ვერ განმარტავენ, რატომ. ძალიან ბევრს ვმუშაობ იმისთვის, რომ მათ შეძლონ თავიანთი ნაფიქრის გადმოცემა, სხვისი ნათქვამის გაანალიზება, შეცდომის პოვნა. ხშირად იმასაც ვეკითხები, რა შემთხვევაში იქნებოდა შენი მეგობრის ნათქვამი სწორი? რა უნდა შევცვალო პირობაში, რომ მისი ნათქვამი სწორი გამოვიდეს.

ამ პროექტით გვინდა, მასწავლებლებს გავაგებინოთ რა არის კრიტიკული აზროვნება. ხშირ შემთხვევაში, არასწორი აღქმა აქვთ ხოლმე და მას კრიტიკასთან აიგივებენ, რაც, აბსოლუტურად, არასწორია. ხშირად, როცა ვხვდებით მასწავლებლებს და ვესაუბრებით, როგორ ვზრდით კრიტიკულად მოაზროვნე ბავშვს – ამბობენ, რომ ამას ჩვენც ვაკეთებთო. ამით იმის თქმა მინდა, რომ გათვითცნობიერებული არ აქვთ, რა არის კრიტიკული აზროვნება. ამ პატარა პროექტის ძირითადი მესიჯები სწორედ აქეთ არის მიმართული, უფრო კარგად გაიგონ რატომ არის კრიტიკული აზროვნება მნიშვნელოვანი სწავლა-სწავლების პროცესში.

დღეს მხოლოდ ინფორმაცია არ არის მნიშვნელოვანი. პატარა რომ ვიყავი, რაც უფრო მეტი წიგნი გქონდა წაკითხული და მეტ ინფორმაციას ფლობდი, უფრო განათლებული გამოჩნდებოდი, მაგრამ დღეს მხოლოდ ინფორმაციის ფლობა არაფერს აღარ გვაძლევს, რადგან გუგლში ისედაც ყველაფერია. შესაბამისად, აქ უკვე სხვა უნარებია საჭირო – ამ ინფორმაციის დამუშავება, არგუმენტირებული შეფასება. იმასაც ამბობენ, რომ ძალიან რთულია კრიტიკულად მოაზროვნე ადამიანის მანიპულირება, რადგან რთულია შენ აზრზე გადაიყვანო ადამიანი, რომელიც კითხვებს გისვამს, არგუმენტები მოჰყავს და კამათში შემოდის. ამიტომაც არის ძალიან მნიშვნელოვანი ამ უნარის განვითარება.

მათემატიკის სწავლება მხოლოდ ციფრებითა და ფორმულებით ძალიან მომაბეზრებელი და უინტერესოა ბავშვებისთვის. მეტსაც გეტყვით, მათ ტელეფონში აქვთ პროგრამა (ფოტომათემატიკა), რომელიც დაანათებს წიგნს ან რვეულს და მაშინვე ამოუხსნის დავალებას – ამოხსნის გზებს აჩვენებს პირდაპირ. ამიტომ, ამ ეპოქაში, ფორმულების და გამრავლების ტაბულის დაზეპირება არაფერს მოგცემს, ეს დრო წარსულს ჩაბარდა. მათემატიკით უნდა ვისწავლოთ აზროვნება, ფიქრი, განსჯა და არგუმენტირება – ეს არის სწორედ კრიტიკული აზროვნება.

ოცწლიანი პედაგოგიური გადასახედიდან (19 წლის ვიყავი, მუშაობა რომ დავიწყე პირველკლასელებთან) გეტყვით, რომ მკვეთრი განსხვავება მოსწავლეებს შორის არ არის, მაშინაც აზროვნებდნენ კრიტიკულად და ახლაც. უბრალოდ, ხაზი მინდა გავუსვა მასწავლებლისა და მშობლის როლს. მნიშვნელოვანია, რომ ორმაგი სტანდარტით არ ვიხელმძღვანელოთ, თორემ ძალიან გავაფუჭებთ საქმეს. უფრო სწორად, მშობელი, ხშირ შემთხვევაში, ხელს გვიშლის. ექვსი წლის ბავშვები სკოლაში ძალიან დაბალი თვითშეფასებით მოდიან, რის გამოც არა თუ საგნის სწავლება, არამედ მათი დარწმუნება გვიწევს იმაში, რომ „ეს შეგიძლია“.

კიდევ ერთი უმთავრესი ფაქტორი – ბავშვებს მოვუსმინოთ, სხვაგვარად არაფერი გამოგვივა. მასწავლებლები ხშირად ახერხებენ და გაკვეთილზე სიჩუმეს აღწევენ, მაგრამ, მერწმუნეთ, ეს მხოლოდ მკვდარი გაკვეთილია, სადაც ინფორმაციის გადაცემის მეტი არაფერი ხდება. პირიქითაა, როცა მათ საკუთარი აზრის გამოხატვის მეტ შესაძლებლობას ვაძლევთ, ამით არა მხოლოდ მოსწავლე, არამედ მასწავლებელიც უფრო მეტად კრიტიკულად მოაზროვნე ხდება. ავტორიტარული დამოკიდებულება მასწავლებლის მხრიდან (აქ მთავარი მე ვარ!) დამღუპველია. თუ მასწავლებელი მიყვება მოსწავლეს, ხშირ შემთხვევაში, სწორედ ისინი უკარნახებენ რა და როგორ გააკეთოს.“

მანანა კაპეტივაძე, ბაღდათის №2 საჯარო სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელი, 2019 წლის „მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს“ გამარჯვებული: *„კრიტიკული აზროვნება მუდმივად განვითარებადი უნარია და, შესაბამისად, მუდმივად ისწავლება. ამ უნარით ბავშვი შეძლებს გააანალიზოს და განამტკიცოს რა პრობლემის წინაშე დგას, რომ მერე უპოვოს დასაბუთება – რატომ? სწორედ ფიქრით და ანალიზით მივა კონკრეტულ ამოცანამდე – თავის ცოდნას მიმართავს ამ ამოცანის გადასაჭრელად. თავისთავად, აქ მასწავლებლის როლი გადამწყვეტია.*

დღეს ინტერნეტში მოზღვავებული ინფორმაციის ნაკადში ბავშვი დაიკარგება, თუკი ვერ შეძლო ცუდის და კარგის ერთმანეთისგან გარჩევა და გაანალიზება. ამიტომ, მასწავლებლები ძალიან დიდი ამოცანის წინაშე ვდგავართ – სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, მოსწავლეს ვასწავლოთ კრიტიკული აზროვნება. საკუთარი გამოცდილებიდან შემიძლია გითხრათ, რომ რაღაც განსაკუთრებული სულაც არ არის საჭირო იმისთვის, რომ შენს გაკვეთილზე მოსწავლემ კრიტიკულად იაზროვნოს. უმეტესად გონებრივი იერიშით ვცდილობ, კრიტიკული აზროვნების ელემენტები ჩავდო მოსწავლეებში. კითხვას რომ დავსვამ, მათ აუცილებლად ვაძლევ დროს იმისთვის, რომ დაფიქრდნენ და პასუხი შემდეგ გამცენ. ბავშვები (განსაკუთრებით დაწყებით საფეხურზე) მიჩვეულები არიან კითხვის დასრულებამდე ხელის აწევას და ეგრევე, დაუფიქრებლად პასუხს. ამიტომ, მათ ხშირად ვეუბნები – კითხვას რომ დავსვამ, დაახლოებით ნახევარი წამი მაინც სჭირდება მის გააზრებას, ნუ იჩქარებთ, კარგად გაიაზრეთ და ისე მიპასუხეთ.

გაკვეთილზე ხშირად ვუთმობთ დროს დებატებს. მაგალითად, ჩავატარე გაკვეთილი თემაზე – რა პრობლემა გვაქვს სკოლაში და რა სჭირდებათ მოსწავლეებს? ბავშვებმა სკოლაში კლუბების ჩამოყალიბების სურვილი გამოთქვეს, ბევრი იმსჯელეს და საბოლოოდ გადაწყვიტეს, რომ „მათემატიკის კლუბი“ დააარსონ. ამ პროექტისთვის სწორედ ეს თემა გამოვიყენე და ჩავატარე გაკვეთილი „მათემატიკის კლუბის შექმნაზე“. მინდა კოლეგებს გავუზიარო გამოცდილება, თუ როგორ შევძელი სამოქალაქო განათლებასთან ინტეგრირებულ გაკვეთილზე კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარება მოსწავლეებში. შევქმენი სამი წარმოსახვითი მასწავლებელი, განსხვავებული ბიოგრაფიებითა და გამოცდილებით. მოსწავლეებს მათგან ერთი უნდა შეერჩიათ კლუბის ხელმძღვანელად. აბსოლუტური თავისუფლება მივეცი, რომ გადაწყვეტილება დამოუკიდებლად მიეღოთ. მოვაწყვეთ დებატები, ბევრი იმსჯელეს, ერთმანეთს უზიარებდნენ საკუთარ მოსაზრებას კანდიდატებთან დაკავშირებით, რატომ უნდა აერჩიათ კონკრეტული მასწავლებელი. ასე მივიდნენ საბოლოო დასკვნამდე და შეირჩა კლუბის ხელმძღვანელი.

უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება საილუსტრაციოდ, თუმცა, უმთავრესი მაინც ის არის, მასწავლებელს თავად ჰქონდეს ეს უნარი განვითარებული. კრიტიკული აზროვნება რომ ყველასთვის აუცილებელი უნარია, ეს გასაგები და ბუნებრივიცაა, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენს საზოგადოებაში თანამედროვე მოქალაქეობრივი კომპეტენციების დეფიციტია და მისი შევსება სწორედ სკოლის მერხიდან უნდა დავიწყოთ. კრიტიკული აზროვნების უნარი მოსწავლეებს, თუნდაც იმიტომ უნდა განვუვითაროთ, რომ ისინი არ გახდნენ ვიღაცის მიერ იოლად მანიპულირებადი, მათ საკუთარი აზრის გამოხატვა და მისი დაცვა უნდა შეძლონ. კოალიციის მიერ დაწყებული პროექტი, ვფიქრობ, სერიოზულ აქტუალობას შესძენს პედაგოგებში კრიტიკულ აზროვნებას და სწავლა-სწავლების პროცესში მისი გამოყენების ხელშეწყობას.“

პროექტი ოქტომბრის ბოლომდე გასტანს. მნიშვნელოვანია, რომ დასრულების შემდეგ, დარჩება მასალა/რესურსი (არა ლექციის ტიპის, არამედ ძალიან მოკლე და კონკრეტულად გაზიარებული გამოცდილება), რომელიც ყველასთვის ხელმისაწვდომი იქნება.

ლიტერატურული კონკურსი

50 წელზე მეტია, ყოველწლიურად, სამცხე-ჯავახეთში, რუსთაველის ნააკვნარზე, საზეიმოდ აღინიშნება **„პოეზიის სახალხო დღესასწაული – შოთაობა“** და, შესაბამისად, ტარდება ლიტერატურული კონკურსები.

იმის გამო, რომ რესპუბლიკის მოსწავლე ახალგაზრდობაში გაიზარდოს პოეზიისადმი ინტერესი, წელს, პირველად, მათთვის ვაცხადებთ ლიტერატურულ კონკურსს პოეზიაში.

გამოგზავნილ საკონკურსო მასალაში უნდა მიეთითოს ავტორის ვინაობა, მისამართი და საკონტაქტო ტელეფონი.

დაწესებულია სამი წამახალისებელი პრემია:

პირველი პრემია – 500 ლარი;
მეორე პრემია – 400 ლარი;
მესამე პრემია – 300 ლარი.

სამივე პრემია დაწესებულია შპს „ნიალისაგან“.

კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს საქართველოსა და უცხოეთში მცხოვრებ ყველა მოსწავლეს, გარდა დამამთავრებელი (მე-12) კლასისა.

გამარჯვებულთა საზეიმო წარდგინება მოხდება სოფელ რუსთავში, ტრადიციულ „პოეზიის სახალხო დღესასწაულზე – შოთაობაზე“, ხოლო დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართება ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ამა წლის ოქტომბერში.

საკონკურსო ლექსები იგზავნება მხოლოდ დაბეჭდილი ფორმით, არაუმეტეს 5 ლექსისა. ხელნაწერი არ მიიღება (თემატიკა თავისუფალია).

კონკურსში გამარჯვებული ლექსები გამოქვეყნდება გაზეთ „ლიტერატურულ მესხეთში“.

საკონკურსო ლექსების მიღების ბოლო ვადაა 2019 წლის 1 სექტემბერი
და იგზავნება შემდეგ მისამართზე:
0500, ასპინძის მუნიციპალიტეტი, დაბა ასპინძა, თამარის ქ.№3.
გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია.
ტელ. 5 99 97 95 24

ინოვაციური სწავლა-სწავლება

Microsoft და საქართველოს განათლების სამინისტროს ახალი გამოწვევები

მარინა ტარულიშვილი
სსიპ მიხეილ ჯავახიშვილის სახელობის თბილისის №124 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების წამყვანი მასწავლებელი

Microsoft-ის საგანმანათლებლო სივრცე ფართო შესაძლებლობაა ინოვაციების დასანერგად. იმისათვის, რომ 21-ე საუკუნის მასწავლებელმა გაამრავალფეროვნოს სასწავლო პროცესი და აღზარდოს ციფრული მოქალაქე, სისტემატურად უნდა განავითაროს საკუთარი უნარები ტექნოლოგიების მიმართულებით; შეუძლებელია დღევანდელ მოსწავლეებს მხოლოდ სახელმძღვანელოს გამოყენებით ვასწავლოთ სხვადასხვა ქვეყნების, კულტურების და ადამიანების შესახებ. მათ უნდა მივცეთ საშუალება, ტექნოლოგიების გამოყენებით, სამყაროს ნებისმიერ კუთხეში მოხვდნენ. ასეთი მიდგომით სწავლისადმი ინტერესი და მოტივაცია იზრდება. ტექნოლოგიების გამოყენებით თანამშრომლობისას მასწავლებელი და მოსწავლე ერთობლივად ქმნიან პრეზენტაციას, ვიდეოს, ციფრულ რესურსსა და პროექტებს.

აღსანიშნავია, რომ მოსწავლეების ტექნოლოგიური უნარები გაცილებით მაღალია, ვიდრე მასწავლებლისა, ამიტომ, მათ უმეტესობას სჭირდება მეცადინეობა, რომ ახალგაზრდების დონეს გაუთანაბრდეს. გარდა ამისა, მოსწავლეთა ინტერესის სფერო ციფრული ტექნოლოგიები უფროა, ვიდრე წიგნი. აქაც მასწავლებელზეა დამოკიდებული, რამდენად საინტერესოდ მიაწვდის მასალას, რომ მოსწავლეებში მოტივაცია გაზარდოს.

2016 წლიდან Microsoft-ის ინოვაციური მასწავლებელი-ექსპერტი ვარ. ექსპერტის მისიაა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მხარდაჭერა ინოვაციური სწავლა-სწავლების პრაქტიკების ხელშეწყობით. Microsoft-ის საგანმანათლებლო პორტალი პროფესიული განვითარების პროგრესული მეთოდოლოგიის პროგრამაში მონაწილეობის მიღების საშუალებას იძლევა, რაც ტექნოლოგიების ინტეგრაციასაც გულისხმობს; გვაძლევს ხელსაწყოებს და მხარდაჭერას, რაც ექსპერტებს ჩვენი კოლეგების მენტორობაში გვეხმარება.

2017 წელს გავხდი Skype Master Teacher (ჯერჯერობით ერთადერთი Skype Master Teacher ვარ საქართველოდან).

ჩემი აქტიური მუშაობის დამსახურებაცაა, რომ Microsoft-ის პორტალზე, სსიპ მიხეილ ჯავახიშვილის სახელობის თბილისის №124 საჯარო სკოლამ უკვე მესამედ მიიღო Microsoft-ის სკოლის სტატუსი. ეს ის სკოლაა, სადაც 24 წელია ვმუშაობ.

Microsoft, წელიწადში ერთხელ, თანამშრომლობით კონფერენციაზე იწვევს ინოვაციური სკოლის პროგრამებში მონაწილე პედაგოგებს. ამ მიზნით იმართება კონკურსი და გამარჯვებული ექსპერტი მოიპოვებს გლობალურ ფორუმზე დასწრების უფლებას, სადაც მონაწილეობენ ინოვაციური მასწავლებლები, სკოლისა და განათლების ლიდერები, ოფიციალური წარმომადგენლების ჩათვლით, მსოფლიოს 75 ქვეყნიდან 300 საუკეთესო ექსპერტ-მასწავლებელი.

Microsoft Partners in Learning Global Forum-ზე ერთმანეთს ხვდებიან Microsoft-ის ინოვაციური მასწავლებელ-ექსპერტები მთელი მსოფლიოდან. გლობალური ფორუმი იმ მასწავლებლების აღიარების საშუალებაა, რომლებიც თავიანთ მოსწავლეებს 21-ე საუკუნეში წარმატებული ცხოვრებისთვის ამზადებენ.

2019 წელს მხვდა პატივი, 1-5 აპრილს, პარიზში გამართულ ფორუმს დავსწრებოდი, იქ პირადად გავიცანი სხვადასხვა ქვეყნის ექსპერტები, რომელთაც მანამდე სოციალური ქსელიდან და Microsoft-ის სივრციდან ვიცნობდი.

Microsoft-ის გლობალურმა ფორუმმა ექსპერტებს შემდეგი შესაძლებლობები მისცა:

- კონტაქტების დამყარება კოლეგებთან გლობალური მასშტაბით;
- უახლესი ტექნოლოგიების დემონსტრირება;
- განათლების აღიარებული ექსპერტების ლექციები;
- პროფესიული განვითარების აქტივობებში ჩართვა;
- პრიზები და აღიარება წლის ყველაზე ინოვაციური მასწავლებლის სტატუსით;
- Microsoft-ის ინოვაციური სკოლის პროგრამის საზეიმო აღნიშვნა.

Microsoft-ის ექსპერტებს ჩაგვიტარდა ძალიან სასარგებლო სესიები თემებზე:

- Learn to play Minecraft,
- Advanced Flipgrid,
- Teaching & Assessing Math,
- Teacher Training,
- Inclusive Classroom,
- The Next Version of MEC,
- Microsoft Teams,
- 3D Paint,
- Integrating Skype in the Classroom,
- Onenote და ა.შ.

ფორუმიდან დაბრუნებულმა პედაგოგებმა პრეზენტაციები მოაწყვეს თავიანთ სკოლებში, კოლეგებს გაუზიარეს კონფერენციის ფარგლებში მიღებული გამოცდილება და მოპოვებული რესურსები.

ამჟამად, ტექნიკური სწავლების მეთოდი არ გულისხმობს მხოლოდ სწავლების ტექნიკური საშუალებების გამოყენებას, იგი მოიცავს სასწავლო პროცესის კონსტრუირებასაც, კერძოდ: შედეგზე ორიენტირებული სასწავლო მიზნების დასახვას, დასახული მიზნების შესაბამისად, სასწავლო მასალების მომზადებასა და ორგანიზებას, სასწავლო პროცესში მიმდინარე შედეგების შეფასებას, საჭიროების შემთხვევაში, სწავლების პროცესის კორექციას, საბოლოო შედეგების შეფასებას.

საქართველოს განათლების სამინისტრო უზრუნველყოფს განათლების ტრანსფორმაციის სტრატეგიის მიზნების მიღწევას. მისი მთავარი გამოწვევაა „ახალი სკოლის მოდელი“, სადაც ჯერჯერობით 50 სკოლაა ჩართული. თანამედროვე მასწავლებელი რომ უნდა იყენებდეს ტექნოლოგიებს გაკვეთილზე, ეს უდავოა.

„ახალი სკოლის მოდელი“ განათლების სისტემის რეფორმის ნაწილია. მისი მიზანია, ჩამოაყალიბოს კრიტიკულ აზროვნებაზე, პიროვნებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემო, რომელიც მოზარდს 21-ე საუკუნის გამოწვევებისთვის საჭირო ცოდნას და უნარ-ჩვევებს მისცემს.

პროექტის მიზანია, ასევე, სასკოლო კულტურის განვითარება და ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირებით სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესება. მასწავლებელმა უნდა შეძლოს მოსწავლეთა შემოქმედებითი აქტივობისათვის საჭირო მიმართულების მიცემა.

ეფექტიანი სწავლა სოციალური ინტერაქციის გზით მიიღწევა. შესაბამისად, სასწავლო გარემოში ცოდნის კონსტრუირების საუკეთესო საშუალებაა თანამშრომლობითი სწავლების გამოყენება, მაგალითად, ჯგუფური მუშაობა, დისკუსიები, ურთიერთსწავლება და სხვ.

ჩვენი ერთობლივი მიზანია, მოვამზადოთ მოსწავლეები წარმატების მისაღწევად. საკლასო ოთახში და თემში მუშაობით იწყება შესაძლებლობების განვითარება მოსწავლეთა აკადემიური ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ტექნოლოგიების ათვისება და ყველა სფეროში დანერგვა სწავლის პროცესისა და ცხოვრების ახალი წესის დამკვიდრების კანონზომიერი პროცესია. ამიტომ ჩემთვის, როგორც MIE ექსპერტისთვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტექნოლოგიებით გამდიდრებული სასწავლო პროცესი. სამინისტროს ხედვაც ასეთია და პედაგოგებმა ფეხი უნდა ავუწყოთ ამ სასარგებლო ინიციატივას.

გამოყენებული ლიტერატურა:
https://www.mes.gov.ge/content.php?id=8987&lang=geo;
სწავლების მეთოდები და სწავლის სტრატეგიები, სოფიკო ლობჟანიძე, 2012 წ 16.05;
http://akhaliganatleba.ge/%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%90%C2%AD%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%C2%AD%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%9D%C2%AD%E1%83%93%E1%83%94%C2%AD%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%A0/

საინფორმაციო კამპანია

ნუ წაართმევ ბავშვობას!



შინაგან საქმეთა სამინისტრო ბავშვთა ნაადრევი ქორწინების ხელშემწყობი დანაშაულების აღმოფხვრის მიზნით, საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და პოლიციისათვის დროული შეტყობინების საკითხებზე იწყებს საინფორმაციო კამპანიას სახელწოდებით „ნუ წაართმევ ბავშვობას“.

2018 წელს, არასრულწლოვანთა ნაადრევ ქორწინებებთან დაკავშირებულ 180-მდე ფაქტზე დაიწყო გამოძიება. უმეტესად, სამართალდამცავი ორგანოების ინფორმირება ხდება შემთხვევიდან რამდენიმე თვის გასვლის შემდეგ, რაც ართულებს ეფექტიან და დროულ რეაგირებას. ამ მხრივ, მთავარ გამოწვევას წარმოადგენს საზოგადოების ცნობიერების ნაკლებობა. სწორედ ამ მიზანს ემსახურება საინფორმაციო კამპანიაც.

კამპანიის ფარგლებში, დაგეგმილია სხვადასხვა ღონისძიება, მათ შორის, შეხვედრები რეგიონის მოსახლეობასთან, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან, სკოლის მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან, ასევე სხვა დაინტერესებულ პირებთან. აღნიშნულ შეხვედრებში მონაწილეობას მიიღებენ ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლები და ადგილობრივი პოლიციის წარმომადგენლები. დამზადდა საინფორმაციო ბუკლეტები, რომლებსაც, კამპანიის მიმდინარეობისას, საპატრულო პოლიციის თანამშრომლები და მართლწესრიგის ოფიცრები (თბილისსა და რეგიონებში) მოსახლეობას გადასცემენ და კამპანიის მიზნებს გააცნობენ.

საინფორმაციო კამპანია, რომელიც 18 დღის განმავლობაში გაგრძელდება, გაეროს მოსახლეობის ფონდის მხარდაჭერით, გაეროს ერთობლივი პროგრამის „გენდერული თანასწორობისათვის“ ფარგლებში ხორციელდება. განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის, **ირინა აბულაძის** განცხადებით, სამინისტრო აქტიურად ჩაერთვება კამპანიაში. ცნობიერების ამაღლების კუთხით განხორციელდება საინფორმაციო შეხვედრები მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან, დირექტორებთან, რესურსცენტრების წარმომადგენლებთან, სადაც აქცენტები გაკეთდება იმაზე თუ რამდენად მნიშვნელოვანია დროული რეაგირება, პრევენციული ღონისძიებები, მოსწავლეების დატვირთვა ფორმალური და არაფორმალური აქტივობებით და სხვ.

როგორ დაიწერა „ცუგა“

13 რჩევა საბავშვო მწერლებისა და მწერალი მასწავლებლებისთვის

...მიკროტექსტები ჩამოვიტანე ჯავახეთიდან და პაატას მივუტანე ოფისში. გაუხარდა, მერე გადავხედოთო. მაშინ საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტის (G-PriEd) ტრენერი ვიყავი და ნინოწმინდასა და ახალქალაქში ქართულის მასწავლებლებს ვამეცადინებდი. პაატა პაპავა კი ამ პროექტის წიგნიერების მიმართულების ხელმძღვანელი გახლდათ...

ტექსტებს შორის ერთი სამიოდწინადადებიანი ამბავიც ერია, რომელიც ელიოზ მასწავლებელმა სახელდახელოდ დაწერა ტრენინგზევე:

ძროხა ბალახს ძოვს.
მასთან ძაღლი მიდის.
ძაღლი ძროხას უყეფს.
ძროხა ძაღლს რქენს.

პირველი კლასის მოსწავლეებისთვის საანბანე ტექსტების შექმნა ვთხოვე მასწავლებლებს, კონკრეტული ასო-ბგერის სწავლების მიზნით. შესაბამისად, ამ ტექსტებში გააქტიურებული უნდა ყოფილიყო რომელიმე სამიზნე ასო. როგორც ხვდებით, ამ ამბავში ასო „ძ“ გააააქტიურა ელიოზ მასწავლებელმა. პირველკლასელთა მიკროტექსტების შესახებ სხვა დროს ვისაუბროთ, მანამდე კი ბატონ ელიოზ ზედგინიძის ძროხასა და ძაღლს მივუბრუნდეთ.

ჯავახური ტექსტები საგულდაგულოდ გადავათვალიერეთ, **ჯიპრაიდულად** გადავამუშავეთ და მათგან უმრავლესობა წიგნებად დაიბეჭდა კიდეც. ეს წიგნები პროექტში ჩართულ სკოლებს დაურიგდა და ამჟამად ელექტრონულადაცაა ხელმისაწვდომი საიტზე kargiskola.ge. სხვაგვარად განვითარდა მოვლენები ელიოზ მასწავლებლის ძროხისა და ძაღლის შემთხვევაში...

– გინდა, ძაღლის ამბავი გავაგრძელოთ? – კარგა ხნის შემდეგ მეკითხება ჯიპრაიდის ოფისში მისულს პაატა პაპავა.

– რა ძაღლის ამბავი?! – ვერ გავიხსენე ჯავახური ტექსტი.

– აი ის, ძაღლზე და ძროხაზე რომ იყო... ახალქალაქიდან ჩამოტანილი ტექსტი.

– ძაღლი რომ ძროხას უყეფდა? საინტერესო იქნება, თუ გავაგრძელებთ.

პაატა პაპავასთან ერთად მხატვრულ ტექსტზე მუშაობის გამოცდილება მანამდე არ მქონოდა და ეს პროცესიც საკმაოდ საინამოვნო და საინტერესო აღმოჩნდა. როგორც აღმოვაჩინე, პაატას უკვე თავში ჰქონდა მოთხრობის კონცეფცია, პერსონაჟები, სიუჟეტი, ფაბულა. მე ველოდი, მცირედით თუ გავამდიდრებდით ამბავს, მაგრამ პროცესში უკვე სულ სხვა ნაწარმოები მივიღეთ. პაატა თავის ლეპტოპთან იჯდა, იდეებს წინადადებებად ახმოვანებდა და ფხულნარზე (კლავიატურაზე) კრეფდა, მეც ვკარნახობდი ჩემს შინაარსს და თანდათან ყალიბდებოდა ტექსტი...

– ერთი პერსონაჟი ხომ არ შემოვიყვანოთ კიდევ?

– რა ვიცი... – არ მომეწონა იდეა. ისედაც ბევრი პერსონაჟი დაგროვდა: ძაღლი, ძროხა, გველი, მამალი. – რომელი პერსონაჟი?

– თხა... შეყვარებული თხა, – ისეთი დაჯერებით გადმომხედა პაატამ, შეუძლებელი იყო დაუთანხმებლობა.

„ცუგა“ ჯიპრაიდის ერთ-ერთი საინტერესო და ბავშვებისთვის საყვარელი ტექსტი გამოვიდა. დავფიქრდეთ და განვიხილოთ, რა შეიძლება იყოს მისი პოპულარობის მიზეზი? განვაზოგადოთ და აქვე ჩამოვაყალიბოთ ამ წერილის მთავარი შეკითხვა: რა პარამეტრები/მახასიათებლები განაპირობებს საბავშვო წიგნების პოპულარობას?

(ამ შეკითხვებზე პასუხები დამოუკიდებლად არ მომიფიქრებია. ამაში, – ჩემი დაკვირვების, გამოცდილების, პედაგოგიური პრქატიკისა და კლასიკური საბავშვო ტექსტების შესწავლის გარდა, – დამეხმარნენ ის მასწავლებლები, რომელთა ტრენინგებსაც ვესწრებოდი ზემოხსენებული ჯიპრაიდის პროექტის ფარგლებში: პაატა პაპავა, ალან კროუფორდი, მერი კორპსი და სხვ. ტრენინგებსა და სამუშაო პროცესში ვსწავლობდი ისეთ საკითხებს, როგორიცაა ტექსტის კითხვადობის მახასიათებლები, წიგნების ტექნიკური მხარეები, შინაარსობრივი საკითხები, საბავშვო ავტორების მიერ დაშვებული გავრცელებული შეცდომები, გმირისა და ანტიგმირის სახეები, პრობლემისა და მისი გადაჭრის მცდელობების აუცილებლობა და ა.შ.)

ქვემოთ შემოთავაზებულია საბავშვო წიგნების **13** მახასიათებელი და შესაბამისი რეკომენდაციები:

1. მშობლები და მასწავლებლები ხშირად ჩივიან, რომ მესამე-მეოთხეკლასელ ბავშვს კითხვა ვერ დავაწყებინეო. იგულისხმება დამოუკიდებელი მკითხველის პირველი ნაბიჯები. პირადად მე არ მახსოვს, რა ასაკში წავიკითხე „ტომ სოიერი“, თუმცა ჯერ რომ „ჰეკლბერი ფინი“ წავიკითხე და მის წინამორბედს ვერ ვკითხულობდი, კარგად მახსოვს. დედაჩემმა დამსვა და ხმამაღლა წაკითხვა დაიწყო ისე, როგორც პატარაობისას აკეთებდა. მერე შემრცხვა, მე ხომ უკვე დიდი ბიჭი ვიყავი და გამოვართვი: კაი, მომეცი, მე თვითონ წავიკითხავ-თქო...

ბევრი მშობელი მინახავს გახარებული, ბავშვს ჯიპრაიდის წიგნებით დავაწყებინე კითხვაო და მეც, როდესაც შემომჩივლებენ ხოლმე, რა ვქნა, არადა არ კითხულობს ბავშვიო, ვაცნობ ხოლმე kargiskola.ge საიტს, სადაც უმარტივესი დარეგისტრირების შემდეგ, ყველასთვის ხელმისწვდომია საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტის (G-PriEd) ფარგლებში შექმნილი უამრავი საინტერესო ტექსტი.

ჩამოვაყალიბოთ მიმზიდველი წიგნების პირველი მახასიათებელი: **პატარაა და მისი წაკითხვა ერთ დღეშია შესაძლებელი, ყველაზე ზარმაცი მკითხველის მიერაც კი.**

(შეგახსენებთ, ეს პატარა მკითხველის პირველი ნაბიჯებია და მათი გადადგმა სწორედაც რომ მცირე ზომის ტექსტების წაკითხვით იქნება უმჯობესი და არა სქელტანიანი ტომსოიერებითა და კარლსონებით. მათი დროც მოვა...)

კარგი იქნება, თუ საბავშვო მწერლები სქელტანიანი ნაწარმოებების შექმნისასაც გაითვალისწინებენ ამ ფაქტორს და ისე ააგებენ ტექსტებს, რომ შესაძლებელი იყოს ერთი დასრულებულამბიანი თავის ერთ ამოსუნთქვაზე წაკითხვა.

მაშ ასე, ჩამოვაყალიბოთ მიმზიდველი საბავშვო ტექსტების პირველი მახასიათებელი: **პატარაა**.

2. ამას წინათ ერთ-ერთ საბავშვო გამოცემას ვათვალიერებდი მაღაზიაში. აკაკის შესახებ იყო და პირველი წინადადების კითხვა რომ დავიწყე პირველ გვერდზე, ლამის მეორე გვერდზე გადავედი, სანამ წერტილამდე მივიდოდი.

მხატვრული ან სხვა ჟანრის ლიტერატურის კითხვის ერთ-ერთი შემაფერხებელი ფაქტორი, რის გამოც ბავშვები უარს ამბობენ კითხვაზე, გრძელი წინადადებებია, რადგან სანამ ბავშვი წინადადების ბოლომდე გავა, თუკი მასში სხვა დაქვემდებარებული წინადადებებია ჩართული, რომლებიც თავის მხრივ შეიძლება თანწყობილი იყოს და შეიძლება ქვეწყობილი, აზრი ეფანტება... რა იგრძენით წინა წინადადების კითხვის პროცესში? შეყოვნდით? დაიძაბეთ? გაღიზიანდით?

ალბათ. რატომ? იმიტომ, რომ გრძელი წინადადებაა და ვერც სინტაქსური იერით დაიკვეხნის. მიუხედავად იმისა, რომ აზრის გამოტანა შესაძლებელია, ამისთვის რამდენჯერმე მიბრუნება დაგჭირდებათ ანუ შეყოვნდებით. თუკი რამდენჯერმე მოგიწევთ ასეთი ოპერაციის განხორციელება ერთ გვერდზე, ცხადია, საკითხავს გვერდზე გადადებთ.

ასევე, და უარესად, იქცევიან ბავშვებიც. თუკი ტექსტები გადატვირთულია გრძელი წინადადებებით, კითხვაში გაუწაფავი მკითხველი საერთოდ უარს ამბობს კითხვაზე და მეტიც, საშვილიშვილოდ იძულებს ამ პროცესს.

მიმზიდველი საბავშვო ტექსტების მეორე მახასითებელი: **მოკლე წინადადებები.**

და მისი შესაბამისი მეორე რეკომენდაცია: **წერეთ მოკლე წინადადებებით.**

3. ერთი წესი გავიხსენოთ, რომელიც მოსწავლეებისთვის ან შვილისთვის წიგნის შერჩევაში დაგვეხმარება. ხუთი თითის წესი მდგომარეობს შემდეგში: ვიღებთ წიგნს და ვკითხულობთ მის პირველ გვერდს. როდესაც შეგვხვდება ჩვენი მოსწავლეებისთვის, შვილისთვის უცნობი სიტყვა, მოვკეცავთ ერთ თითს. თუკი ერთ გვერდზე ასეთი სიტყვების რაოდენობა ხუთს მიაღწევს, უნდა დავასკვნათ, რომ ასეთი ტექსტი ჩვენი ბავშვებისთვის რთულია და მათ არ უნდა შევთავაზოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი ფრუსტრაციაში ჩავარდება და საერთოდაც აუცრუვდება გული კითხვაზე.

საბავშვო ტექსტების მახასიათებლებზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით სიტყვებზე საუბარს. ზემოთ უკვე გამოვკვეთეთ სიტყვების ერთი მახასიათებელი – შინაარსი. სიტყვები გასაგები უნდა იყოს ბავშვებისთვის. ტექსტში არ უნდა იყოს გადაჭარბებული რაოდენობის უცნობი სიტყვები. ამასთან, როდესაც გამოვიყენებთ ბავშვებისთვის სავარაუდოდ უცნობ სიტყვას, უნდა ვეცადოთ, რომ მისი ამოცნობა შესაძლებელი იყოს კონტექსტის მიხედვით ან შეიძლებოდეს მისი მნიშვნელობის პროგნოზირება. ერთიცაა: ბავშვები იმასაც უნდა მიეჩვიონ, რომ ზოგიერთი სიტყვა გაუგებარი შეიძლება დარჩეთ, მაგრამ ამის გამო ტექსტის აზრი მაინც გაიგონ.

შინაარსის გარდა სიტყვას სხვა მახასიათებელიც აქვს – სიგრძე, სიტყვაში ასოებისა და მარცვლების რაოდენობა. სიტყვა მით უფრო ადვილი წასაკითხია, რაც უფრო მოკლეა. შესაბამისად, როდესაც ტექსტის კითხვადობის დონე დგინდება, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პარამეტრი მასში სიტყვის საშუალო სიგრძეა. რაც უფრო მაღალია ეს პარამეტრი, მით უფრო რთულდება ასეთი ტექსტის წაკითხვა. ამიტომაც საბავშვო ავტორები უნდა მოერიდონ გრძელი სიტყვების ხშირ გამოყენებასაც.

ამის გათვალისწინებით, მესამე რჩევა იქნება: **ნუ გადატვირთავთ ტექსტებს უცნობი, გაუგებარი და/ან გრძელი სიტყვებით.**

4. ახლა ჩემ გვერდით მერვეკლასელი რუფატ ალიევია და ვეკითხები, მისთვის როგორი წიგნი იქნებოდა ყველაზე საინტერესო. ის ფიქრობს, რომ წიგნში უნდა იყოს ჯადოქრობები და ჯადოსნობები.

მართლაც, ბავშვებს იტაცებთ ისეთი თავგადასავლები, რომლებშიც გმირები დაჯილდოებულები არიან ზებუნებრივი თვისებებით. ჩვენი ბავშვობის ზღაპრებიც რომ გავიხსენოთ – რატომ აღგვაფრთოვანებდა წიქარა თუ ასფურცელა? ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ ეს პერსონაჟები განსაცდელის დროს ზებუნებრივ შესაძლებლობებს იყენებდნენ ხოლმე. თითქოს ყველაფერი დასრულებისა და დამარცხების პირას იყო და ამ დროს მოულოდნელად პროტაგონისტი თავის ჯადოსნურ ძალას გამოავლენდა და იმარჯვებდა...

ცხადია, ჩვენს საბავშვო მწერლებსა და მწერელ მასწავლებლებს ზომიერებამ არც აქ არ უნდა უღალატოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, გადაჭარბება და გაცვეთა ბავშვების იმედგაცრუებას გამოიწვევს, დაინტერესებისა და მიზიდვის ნაცვლად.

მაშ ასე, მეოთხე რეკომენდაციაც დაურიდებლად დავწეროთ: **მიანიჭეთ პერსონაჟებს ჯადოსნური თვისებები.**

5. რამდენჯერმე ვახსენე სიუჟეტი – ნაწარმოების ერთ-ერთი ხერხემალი. როგორც ჩვენი ძველი ქართველი ხალხოსანი მეზღაპრეები ამბობდნენ, „მომეცი კარგი სიუჟეტი და ერთ დუჟინ ბავშვს დავაძინებო“...

ტექსტი და სიუჟეტი მაშინაა საინტერესო, როდესაც მასში ამბავია გადმოცემული. ამბავი კი რა ამბავია, თუკი მასში პრობლემა არაა?! მოკლედ, ნაწარმოებში აუცილებლად უნდა იყოს პრობლემა, რომლის წინაშეც დგება პროტაგონისტი და ორი-სამი მცდელობის შედეგად უნდა ხდებოდეს ამ პრობლემის გადაწყვეტა (ერთი მცდელობით პრობლემის გადაწყვეტა არ ვარგა. მეორედ, მესამედ მცდელობა ძაბავს სიუჟეტს, უფრო მეტად მიმზიდველს ხდის მას. გაგონდებათ ჰოლივუდური ფილმი, რომელშიც ხიფათში ჩავარდნილი პერსონაჟი ერთი მცდელობისთანავე გათავისუფლებულიყოს?! არა).

გავიხსენოთ ჩვენში პოპულარული საბავშვო ზღაპრის „ნაცარქექია“ სიუჟეტი.

1. ნაცარქექია ნაცარს ქექავს და არის კომფორტულად.
2. მას აიძულებენ მიატოვოს კომფორტის ზონა, ფაქტობრივად სახლიდან აგდებენ.
3. ნაცარქექიას შინიდან ატანენ რაღაც კურიოზულ ნივთებს, რომელიც შემდგომში ძალიან გამოადგება მოგზაურობისას.
4. ნაცარქექია ტოვებს სახლს და იწყებს მოგზაურობას უცხო, სახიფათო სამყაროში.
5. იგი გადაეყრება დევს და მასთან უწევს გაჯიბრება, სხვადასხვა გამოცდის ჩაბარება.
6. ფათერაკების მაძიებელი გმირი შინ მიჰყვება დევს, კიდევ უფრო უახლოვდება მოსალოდნელ განსაცდელს, ერთი მხრივ, და საბოლოო ჯილდოს, მიზანს, მეორე მხრივ.
7. ყოველმხრივ დაძაბულობა იგრძნობა, ჩვენი გმირი უკიდურეს განსაცდელში ექცევა (კეცის ქვეშ მოჰყვება, დირეს აეკრობა) და ლამისაა დაიღუპოს.
8. ნაცარქექია უკანასკნელ ძალებს (მოხერხებულობას, ტყუილს) იკრებს გადარჩენის მიზნით.
9. ზღაპრის გმირი შედეგს აღწევს, დევს სახლიდან აგდებს.
10. ნაცარქექიას თავგადასავლები მთავრდება, ის დევის სახლკარს ეპატრონება.
11. ნაცარქექია ახალ ცხოვრებას, გაცილებით გაუმჯობესებულს, იწყებს.

გმირის თავგადასავლის შესახებ მეთიუ უინკლერის საინტერესო ვიდეოა განთავსებული TED-Ed-ის იუთუბარხზე, 2012 წლის 4 დეკემბერს (http://tiny.cc/j0ga8y). აქ საუბარია უნივერსალური გმირის შესახებ, რომელიც გარკვეულ საფეხურებს გადის თავისი თავგადასავლის განმავლობაში (ნაცარქექიას თავგადასავალი, შეიძლება ითქვას, რომ სრულად ემთხვევა ამ სქემას).

აქაც, ისევე როგორც ყველგან და ყველაფერში, უნდა გავითვალისწინოთ ერთი რამ: ზომიერება. თავგადასავალმა ისე არ უნდა გაგვიტაცოს, რომ შემოვიტანოთ სხვადასხვა დრო და შრეები. მაგალითად, გმირის ბაბუის ამბების აღწერა... არამთავარი პერსონაჟის სახლის დაწვრილებითი მიმოხილვა...

მეხუთე რჩევა: **სიუჟეტი უნდა იყოს განვითარებადი (მაგრამ არა ჩახლართული), დაძაბული, პრობლემების შემცველი და მის გადაჭრაზე ორიენტირებული.**

6. ჩემი ბავშვობის საყვარელი პერსონაჟი საყვარელივე ნაწარმოებიდან, „კაპიტან გრანტის შვილებიდან“ იყო – პაგანელი, ნიჭიერი, კურიოზული, დაბნეული მეცნიერი. საინტერესოა, როგორი პერსონაჟი იზიდავს ბავშვებს?

პერსონაჟი უნდა იყოს გამორჩეული, უცნაური, გასხვავებული თვისებების მატარებელი. კარგი იქნება, თუ ნაწარმოებში იქნება რამდენიმე პერსონაჟი, რომელთაგან გამოიკვეთება ორი: პროტაგონისტი და ანტაგონისტი, ანუ გმირი და ანტიგმირი, დადებითი მთავარი გმირი და მასთან დაპირისპირებული უარყოფითი პერსონაჟი. დადებით პერსონაჟს თავისი დასი, დამხმარეები ეყოლება, რომელთაგან ორი-სამი დასამახსოვ-



რებელი უნდა იყოს. არაა საჭირო ხელოვნური პერსონაჟების შემოყვანა მთავარი გმირის დასახმარებლად, ეს მიმზიდველობას უკარგავს ნაწარმოებს. მაგალითად, თუკი მეოთხეკლასელი ლეილა ღრმა ორმოში ჩავარდება, მის ამოსაყვანად ნუ მოუხმობთ კეთილ ბიცოლას ან გულად პოლიციელს. ამას აჯობებს, ლეილასვე დააყენოთ ჯაფა და თავადვე მოაფიქრებინოთ ამოსავალი.

მნიშვნელოვანია პერსონაჟის სახელიც. ამასაც კარგი მოფიქრება სჭირდება. არ უნდა მოგვერიდოს ერთი შეხედვით მიუღებელი, რთული, მივიწყებული თუ ახალი სახელებისა და სიტყვების გამოყენება. სახელის მთავარი თვისება უნდა იყოს დამახსოვრებადობა და მიმზიდველობა.

ჩამოვაყალიბოთ მე-6 რეკომენდაციაც: **შექმენით ხასიათით, თვისებებითა და სახელითაც გამორჩეული პერსონაჟები.**

7. ტექსტი, ისევე როგორც პერსონაჟი, ცოცხალი არსებაა. როგორც ამბობენ, ამ არსებას სულს შთაბერავს სტილი. სწორედ სტილია ნაწარმოების სული. ეს ყველაზე მოუხელთებელი რამაა, რაც თარგმანში ხშირად იკარგება ხოლმე. ქართულენოვანი მკითხველები სტილს ყველაზე მეტად ქართულად შექმნილი ნაწარმოებიდან აღიქვამენ.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ეს კომპონენტი ბავშვებისთვისაა. ისინი ახლა ითვისებენ, უკვირდებიან თხზულებების სტილს. შესაბამისად, ჯერ კიდევ არ არიან მზად რაღაც განსაკუთრებულობისა და ორიგინალურობისთვის. მეტიც, ავტორთა მრავალფეროვანი ძიებები ამ მიმართულებით შეიძლება დამღლელი აღმოჩნდეს გამოუცდელი მკითხველებისთვის.

საბავშვო ნაწარმოებებისთვის საუკეთესო ვარიანტი იქნებოდა სადა და მარტივი სტილი. ეს მახასიათებელი სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ასეთი სტილის ნაწარმოების დაწერა ადვილია. შეიძლება ითქვას, რომ პირიქით.

მეშვიდე რჩევა: **გაითვალისწინეთ, რომ ბავშვებს აღაფრთოვანებთ სიმარტივე და თქვენც მარტივი სტილი გამოიყენეთ.**

8. ჩემს მოსწავლეობას გავიხსენებ. იყო ხოლმე გაკვეთილებზე მომენტები, როდესაც ბავშვები ხმამაღლა გავიცინებდით. ამ დროს მასწავლებელიც გაიცინებდა და მალევე იტყოდა ჩემს სასკოლო მახსოვრობაში ყველაზე საშინელ ფრაზას: გვეყოფა სიცილი!

სიცილი კარგია! სიცილი ყველაზე კარგი რამაა. არაფერი არ იზიდავს ბავშვს ტექსტში ისე, როგორც სასაცილო მომენტები. მაგრამ: არაფერი არაა ისე რთული შესაქმნელი, როგორც სასაცილო სიტუაცია. ამ კომპონენტში მწერლებს – დიდი ოსტატობა, ხოლო მწერელებს (მასწავლებლებსა და მოსწავლეებს) დიდი დაკვირვება მართებთ.

რა ჰქმნის სასაცილო სიტუაციებს?

- მოულოდნელობა (ფეხი წამოკრა, ჭამდა და სკამიდან გადავარდა...)
- შეუსაბამობა (პატარამ დიდი დაამარცხა, პატარას დიდი შარვალი აცვია...)
- ტყუილი
- უზრდელობები (უკანალზე უკბინა...)

რეკომენდაცია № 8: **შექმენით ნაწარმოებში სასაცილო სიტუაციები.**

9. უზრდელობებით გავაგრძელოთ. ერთხელ ახლობელ მეცხრეკლასელთან მივედი სტუმრად. როგორც მასწავლებელი, დავინტერესდი სასკოლო სიტუაციებით. ახალი სასწავლო წელი ძალას იკრეფდა და სახელმძღვანელოები ახალი დარიგებული (თუ ნაყიდი?!) ჰქონდათ.

– ნახე, რა წერია ჩემს ქართულის წიგნში, – მითხრა ბიძინამ და ქართული ენისა და ლიტერატურის წიგნი გამომიტანა.

წიგნს მითითებულ ადგილზე ჩავხედე და თვალში უწმაწური გამონათქვამი მომხვდა: „აფხაზები გაგჟიმავენ...“

– ამის მეტმა არაფერმა დაგაინტერესა ამ ტექსტიდან?

– ჯერ არ წამიკითხავს... ისე, დამაინტერესა და წავიკითხავ.

...რა დანიშნულება აქვს უზრდელური გამონათქვამების გამოყენებას ტექსტში? საერთოდაც, საჭიროა თუ არა ასეთი გამონათქვამები გამოვიყენოთ საბავშვო ტექსტებში?

უზრდელურ გამონათქვამებს ახასიათებს მიმზიდველობა (ბიძინასმაგვარი შემთხვევები ყველას გაგახსენდებათ) და უგუნურება იქნება, თუ ამ ფაქტორს სათანადოდ არ გამოიყენებენ საბავშვო მწერლები.

აგრეთვე, რა დასამალია და, უზრდელობები დამახასიათებელია ჩვენი რეალობისთვის. შესაბამისად, საბავშვო ტექსტი უნდა ასახავდეს კიდეც სინამდვილეს. ამიტომ მათი სრულიად იგნორირება დააკნინებს ტექსტების მხატვრულ ღირებულებას.

რასაკვირველია, არ უნდა დაგვავიწყდეს რამდენიმე პრინციპი:

- ზომიერება შინაარსში – უზრდელობების ხარისხებიდან (სართულებიდან) მხოლოდ უწყინარი, დაბალი სიმძაფრის ერთეულების შერჩევა.
- ზომიერება სიხშირეში – არაა საჭირო ყოველ გვერდზე, ტექსტში ბევრჯერ ამ ხერხის გამოყენება. ჩვენი ტექსტი არ უნდა დაემსგავსოს ცნობილი სერიალის სცენარს.
- უზრდელობების ჩანაცვლება – როდესაც გარკვეული სიტყვების კი არა, მათ მონაცვლეს ვიყენებთ. მაგალითად, საჯდომს, რბილ ადგილს...

მეცხრე რეკომენდაცია: **ზომიერად ჩართეთ ტექსტში ავთენტიკური უზრდელობები.**

10. ზემოთ რომ ლეილა ვახსენეთ გახსოვთ? მეათე რეკომენდაციისთვის მივუბრუნდეთ სიუჟეტის განვითარებას ტექსტში. რა ხდის მიმზიდველად გმირის თავგადასავალს? ფათერაკები.

ვნახოთ შემდეგნაირი ამბავი: „ლეილა მეოთხე კლასში სწავლობს. ერთხელ ის სკოლაში მიდიოდა. გზაში ალიკა შეხვდა და ერთად წავიდნენ სკოლაში. გაკვეთილების დამთავრების შემდეგ ისინი სკოლიდანაც ერთად წამოვიდნენ...“ მოეწონება ვინმეს ეს ამბავი?! ცხადია, არა. პრინციპში ეს არცაა ამბავი... მაგრამ, თუკი ლეილა ორმოში ჩავარდება? ან თუკი ის მიუღებელ რამეს ჩაიდენს, რის გამოც სკოლის დირექტორის მრისხანებას გამოიწვევს? ასეთ შემთხვევაში ინტერესი იზრდება.

მეათე რჩევა, რომელიც ერთგვარად მეთერთმეტე რჩევასაც ებმის, სწორედ **ფათერაკებით ნაწარმოების გამდიდრებას** გულისხმობს.

11. რატომ გვიზიდავს ნაწარმოები ძლიერად? იმიტომ, რომ მასში არის მოულოდნელობები. ჩვენ ყველაზე მეტად აღგვაფრთოვანებდა ის, რაც ჩვენი წარმოდგენის მიღმა არსებობდა. აღტაცებაში მოვყავდით გმირის ისეთ გადაწყვეტილებებს, როგორზეც ჩვენ დამოუკიდებლად წარმოდგენაც კი არ გვექნებოდა.

საბავშვო ნაწარმოებს (სადიდოსაც) ისე არაფერი ამშვენებს, როგორც მოულოდნელობები. ცხადია, ამის მისაღწევად კიდევ და კიდევ შემოქმედებითობაა საჭირო, მაგრამ გამიზნულადაც შეგვიძლია სასურველი ეფექტის მიღება. როგორ?

ავიღოთ სიტუაცია; მოვიფიქროთ ამ სიტუაციიდან ორი ერთმანეთისგან მეკვეთრად დაპირისპირებული გამოსავალი; სიტუაციის მსვლელობისას ისეთი ფაქტები გავააქტიუროთ, რომლებიც მკითხველს უბიძგებს ერთ-ერთი გამოსავლისკენ; ხოლო ჩვენ, ბოლოს, შევთავაზოთ მეორე, ალტერნატიული გამოსავალი. ეფექტი გარანტირებული იქნება.

ყველაფერს უხდება ილუსტრირება და აქაც შემოგთავაზებთ მოულოდნელობის შექმნის მაგალითს. ვთქვათ, ლეილას არ აქვს დავალება და განსაცდელშია. მასწავლებელს აღვწერთ როგორც მკაცრს, რომელსაც არ გამოეპარება არც ერთი უზუსტობა გაკვეთილზე, რომელიც სასტიკად სჯის მოსწავლეებს დავალებების არქონის გამო, რომ ერთხელ მოსწავლეს... ასეთ შემთხვევაში, მკითხველს მოლოდინი უჩნდება, რომ ლეილას მასწავლებელი სასტიკად დასჯის და ვარაუდობს დასჯის სხვადასხვა ფორმას. ხოლო თუ ჩვენ მკითხველებს შევთავაზებთ, რომ მასწავლებელმა ლეილას აპატია დავალების შეუსრულებლობა, ეს დასასრული მკითხველისთვის მოულოდნელი იქნება (რაც იყო ჩვენი მიზანი).

არ ვიცი, რამდენად მოგეწონათ ჩემ მიერ მოყვანილი მაგალითი, მაგრამ მე-11 რეკომენდაციის გათვალისწინება თქვენს ნაწარმოებს ღირსებას შემატებს: **აღავსეთ ტექსტი მოულოდნელობებით.**

12. რა გვახსოვს ჩვენი საყვარელი საბავშვო წიგნებიდან ყველაზე შთამბეჭდავად? რა და ილუსტრაციები. ყდის ილუსტრაცია ხომ განსაკუთრებით და თუკი იმის ბედნიერებაც გვექნებოდა, რომ გვერდებზეც ყოფილიყო ილუსტრაციები, მით უმეტეს...

წინა რეკომენდაციის პუნქტში ვახსენე, ყველაფერს ილუსტრირება უხდება-მეთქი. სხვა მნიშვნელობით კი ვთქვი და პირდაპირი მნიშვნელობითაც აღვნიშნოთ: საბავშვო ნაწარმოების სამკაული არის ილუსტრაცია. ილუსტრატორობა ჯადოსნური პროფესიაა და მე შურით ვუყურებ ყველა მხატვარ-ილუსტრატორს და ვცდილობ კიდეც, ხატვაც ვისწავლო და ილუსტრაციებიც შევქმნა (რა დასამალია და, ამაში ძალიან მეხმარება იუთუბსივრცეც, სადაც ჩავწერ „how to draw...“ ნებისმიერ რამეზე და მივყვები თვალსაჩინო ინსტრუქციებს).

რაც მთავარია, ბავშვები ხატავენ საოცარ ილუსტრაციებს. რა შეედრება ბავშვის მიერ დახატულ ილუსტრაციას? არაფერი.

ბოლოსწინა რეკომენდაცია: **თქვენვე დაასურათეთ თქვენი ტექსტები და ამ პროცესშიც ჩართეთ ბავშვები არა მხოლოდ აზრის გამოკითხვის, არამედ ხატვის დონეზეც.**

13. როგორც ვნახეთ, ეს წერილი მწერლებისა და მასწავლებლებისთვისაა, მწერელი (ეს სიტყვა პაატა პაპავასთან მუშაობის დროს დაიბადა და აღნიშნავს ისეთ შემოქმედებით ადამიანს, რომელსაც მწერლობაზე პრეტენზია არ აქვს, ან აქვს, მაგრამ...) მასწავლებლებისთვის. და ბოლო რეკომენდაცია, რომელიც ერთგვარად მსჭვალავს ყველა წინა რჩევას: თუკი მოხერხდება, რამდენადაც მოხერხდება... არა, უფრო დირექტიულად რომ ვთქვათ:

აუცილებლად, ბავშვებთან ერთად დაწერეთ მოთხრობები. ეს თქვენთვის და თქვენი ნაწერებისთვის იქნება, პირველ რიგში, საოცრად სასარგებლო, რაც არ უნდა აღიარებული, განაფული და გაყიდვადი საბავშვო მწერალი იყოთ. და მეორეც, ერთად წერა ბაშვებისთვის როგორი სასიამოვნო და განმავითარებელი იქნება, ხომ წარმოგიდგენიათ? და კიდევ: ცალკეა ასაწონი ის აუწონავი სიამოვნება, რომელსაც თავად თქვენ, უფროსები მიიღებთ ამ პროცესისგან, ბავშვებთან ერთად თხზვისგან.

მეცამეტე რეკომენდაცია: **წერეთ ბავშვებთან ერთად.**

გიორგი ჭაუჭიძე
მასწავლებელი

P.S. არ შეიძლებოდა ამ წერილის ბოლოს არ მიმეთითებინა ის ჯადოსნური ინსტრუმენტი, რომელიც მრავალგზის ნახსენებმა ჯიპრაიდმა შექმნა და რომელიც განთავსებულია პორტალზე http://kargiskola.ge/dawere/. ეს ისეთი რამაა, რომელსაც მე ვერც აღვწერ და რომც აღვწერო, ჩემი აღწერილის წაკითხვას მაინც არ ექნება აზრი. თავად უნდა ნახოთ! რაც მთავარია, არა მხოლოდ უნდა ნახოთ, არამედ უნდა დაწეროთ!

ქართული ენის სწავლებისათვის

უბრალო დამატება თუ გარემოება

რა პრობლემებს ვაწყდებით სკოლაში ქართული ენის სწავლებისას? როგორ უნდა გამოვნახოთ მისი გადაჭრის გზები? მოგეხსენებათ, რომ „ ქართულ ენას“ სკოლაში ცალკე საგაკვეთილო საათი აღარ ეთმობა. ეს, ჩემი აზრით, არ არის გამართლებული, რადგან შედეგი უკვე სახეზეა. საინფორმაციო საშუალებებიდან აუარებელ მცდარ ფორმას ისმენენ ჩვენი მოსწავლეები, ასევე ნათარგმნი ფილმები არასწორი ქართულითაა გაჯერებული. ჩვენი ენის დასაცავად ჩვენ, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებმა, უნდა ვიბრძოლოთ, მოსწავლეებს სწორად მეტყველება და მართლწერა ვასწავლოთ. რა თქმა უნდა, ამას ყველა მასწავლებელი აკეთებს და სწორედ მათი დამსახურებაა, რომ შევინარჩუნეთ მშობლიური ენა, თორემ ჩვენი მოსწავლეების უმეტესობა უცხოურ ენას უფრო სრულყოფილად ფლობს, ვიდრე მშობლიურს.

ქართული ენის გრამატიკა არ არის ისე ადვილად სასწავლებელი, როგორც შეიძლება ერთი შეხედვით წარმოვიდგინოთ. თავიდან ბავშვებს ვასწავლით ფონეტიკას, შემდეგ მორფოლოგიას და ბოლოს სინტაქსს. ჩემი ყურადღება მინდა გავამახვილო წინადადების არამთავარი წევრების სწავლებაზე. ასე თუ ისე, მოსწავლეები ეუფლებიან მორფოლოგიას, მაგრამ უჭირთ წინადადების არამთავარი წევრების: უბრალო დამატებისა და გარემოების ერთმანეთისაგან გარჩევა. ისიც მინდა აღვნიშნო, რომ პროგრამით, უცხოურ ენაში, ბევრად ადრე ისწავლება წინადადების წევრები, ვიდრე ქართულში. ეს საკითხიც მოითხოვს ყურადღებას. ჩემმა დაკვირვებამ მაჩვენა, რომ უბრალო დამატების სწავლებისთვის გაცილებით ადრე უნდა შევამზადოთ მოსწავლეები. მაგალითად, როცა ვასწავლით თანდებულიან ბრუნვებს. განსაკუთრებით უნდა გავამახვილოთ ყურადღება თანდებულებზე, რომლებიც ორორ ბრუნვაში გვხვდება. მაგალითად, -ვით და -გან თანდებულები. სახელმძღვანელოში კარგად არის მოცემული ამ თანდებულების გამოყენების წესი, მათი მართლწერა და ამაზე აღარ შევჩერდები. მეტად არის საჭირო მოსწავლეების დაკვირვება კითხვებზე და შესაბამისი მაგალითებით მიყვანა იქამდე, რომ თვითონ გააანალიზონ, რა კითხვები დაესმის სახელობითი ბრუნვის -ვით თანდებულიან სახელს და -ვით თანდებულიან მიცემითს. მაგალითად, „რა არის ჩვენი სიცოცხლე, ჩიტივით გაგვიფრინდება“. ჩიტივით – როგორ? ამას მოსწავლეები ადვილად ხვდებიან. რაც შეეხება მაგალითს – „კლდესავით შეუვალია“, აქაც თვითონ სვამენ კითხვას – „რასავით“. გასამტკიცებლად რამდენიმე მაგალითს მოვაყვანინებ. ასევე, ნათესაობითი ბრუნვის თანდებული -გან როცა სიტყვას ერთვის, მაგალითად, „ხისგან გამოთალა“, აქაც ისმის კითხვა – „რისგან“? მოქმედებითი ბრუნვის -გან თანდებულს როცა ვუხსნით, სათანადო მაგალითებით მიმყავს იქამდე, რომ გაიგონ, რა ფონეტიკური მოვლენა მოხდა, მაგალითად, „სახლითგან, სოფლითგან“ როგორ გახდა „სახლიდან, სოფლიდან“. ამასაც ადვილად ხსნიან თვითონვე და შემდეგ კითხვასაც სწორად სვამენ – „საიდან“.

მე-7 კლასში ისწავლება ზმნიზედა – ფორმაუცვლელი მეტყველების ნაწილი და სწორედ აქ გვჭირდება თანდებულიანი ბრუნვების კვლავ გახსენება, რადგან ზმნიზედა გვაქვს ძირეული და ნასახელარი, ნასახელარი ზმნიზედა კი თანდებულიანიც არის და უთანდებულოც. როცა ვასწავლით ზმნიზედის ჯგუფებს, რა თქმა უნდა, ვასწავლით იმასაც, თუ რომელი ბრუნვის ფორმებით გვხვდება გაყინული, რა კითხვები დაესმის.

როცა უბრალო დამატების, როგორც წინადადების არამთავარი წევრის სწავლებას დავიწყებთ, აქაც ისევ დაგვჭირდება თანდებულიანი ბრუნვის ფორმების გახსენება. უნდა გავიხსენოთ ასევე ქვემდებარე და დამატება ობიექტები, რომ ისინი ზმნის პირთან შეწყობილი წევრებია და არ დაირთავენ თანდებულს, ვახსენებ იმ მეტყველების ნაწილებსაც, რომლითაც გადმოიცემა ქვემდებარე და დამატება ობიექტები, მათ ბრუნვებს. მხოლოდ ამის შემდეგ გადავდივარ უბრალო დამატების ახსნაზე. თითქოს არ უჭირთ მოსწავლეებს უბრალო დამატების სწავლა, მაგალითებიც მოჰყავთ, მაგრამ პრობლემას ვაწყდებით, მაგალითად, ასეთ წინადადებასთან: „ბავშვივით ჩვილი გული აქვს“. მათ რატომღაც ჰგონიათ, რომ „ბავშვივით, ჩიტივით“ და ასე შემდეგ, უბრალო დამატებაა. სწორედ აქ უნდა შევახსენოთ, რომ უბრალო დამატება სახელობითი ბრუნვის ფორმით არ გვხვდება და ეს მაგალითები ვერ იქნება უბრალო დამატება, ეს ზმნიზედებია (მათ ჯერ არ იციან გარემოება). სათანადო მაგალითებით მივდივართ დასკვნამდე, რომ უბრალო დამატებას დაესმის კითხვები – ვინ? რა? შესაბამისი ბრუნვის ფორმით, შესაბამისი თანდებულით. როცა გარემოებას სწავლობენ, შეცდომა აქაც მოსდით, რადგან გარემოებაცა და უბრალო დამატებაც შემასმენელსა და სახელზმნით გადმოცემულ წევრს ეწყვილება. ამჯერადაც, კითხვის სწორად დასმა უნდა შევძლოთ.

მინდა აღვნიშნო, რომ ზოგს არ მიაჩნია სავალდებულოდ წინადადების არამთავარი წევრების სწავლება. ჩემი აზრით, ეს არასწორია. თუ ჩვენი ბავშვები უცხო ენაში გრამატიკას საფუძვლიანად სწავლობენ, რატომ არ უნდა იცოდნენ მშობლიური ენის გრამატიკა? ქვეყნისა და ერის სიყვარული ხომ დედაენით იწყება და ენა არის საფუძველი ეროვნულობის შენარჩუნების.

თამარ ჩხაიძე
სსიპ ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის №199 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აკაკი შანიძე და ლეო კვაჭაძე – „ქართული ენა“, მე-9 კლასის სახელმძღვანელო, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი-1992წ;

2. თ. ბოლქვაძე, ე. აფხაზავა – ქართული ენა, მე-6 კლასის სახელმძღვანელო, გამომცემლობა „ინტელექტი“, თბილისი, 2004წ;

3. ნ. ცხვედიანი, მ. ხვედელიძე – ქართული ენა, მე-7 კლასის სახელმძღვანელო, გამომცემლობა „მაცნე“, თბილისი, 2005წ.

ისტ

ეთიკური და საკანონმდებლო ნორმები

20 აპრილი, ამჯერად გარე დაკვირვება და 4 კრედიტი. კიდევ ერთხელ ვიგრძენი ის დიდი პასუხისმგებლობა, რასაც მასწავლებლობა ჰქვია. ისე, ჩვენი ყველაზე დიდი დამკვირვებლები ჩვენი მოსწავლეები არიან, გამონაკლისებიც ხდება და მეც, სკოლის დაკვირვების შემდეგ, გარე დაკვირვების ობიექტივში მოვხვდი. 15 წელზე მეტია მასწავლებელი ვარ და ჩემი არც ერთი გაკვეთილი ერთნაირი არ არის. რომ გითხრათ, არ ვღელავდი, ტყუილი იქნება. ძნელია, შენთვის უცნობი ადამიანი რომ შემოდის და ერთი გაკვეთილით უნდა შეგაფასოს, ამ ერთ გაკვეთილზეა დამოკიდებული შენი მომდევნო საქმიანობა, „კარიერა“ (თუ გადაჭარბებით არ ვიტყვი). რა კარგი იქნებოდა, გარე დამკვირვებელი 1 თვე მაინც რომ აკვირდებოდეს ჩემს გაკვეთილებს, თითოეულ დღეს, მაშინ ეს პროცესი ნამდვილად აღარ იქნებოდა ასეთი სანერვიულო და ემოციური. 5 გაკვეთილი გავაგზავნე, დამესწრენ მეორე გაკვეთილზე – „ეთიკური და საკანონმდებლო ნორმები“.

ყველაფერმა კარგად ჩაიარა, მოსწავლეები კარგად ჩაერთნენ დისკუსიაში, ეს საკითხი გაგონილიც არ ჰქონდათ, სრულიად ახალი თემა იყო. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო დამკვირვებლის კეთილგანწყობა ჩემ მიმართ (არც სახელი ვიცი, არც გვარი, შეხვედრისას კი გამეცნო, მაგრამ არც დამიმახსოვრებია).

მინდა წარმატებები გისურვოთ ყველას. წარმოგიდგენთ ჩემი გარე დაკვირვების გაკვეთილის გეგმას, თავისი რესურსებით და დანართებით.

გაკვეთილის გეგმა №2 – „საავტორო უფლება და ეთიკური ნორმები“
მასწავლებელი: ნანა ნოზაძე
საგანი: ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები
სწავლების საფეხური/კლასი: დაწყებითი/მე-5[3]
მოსწავლეთა რაოდენობა: 17
გაკვეთილის თემა: საავტორო უფლებები და ეთიკური ნორმები, გვ.176
გაკვეთილის მიზანი: მოსწავლეები გაიგებენ, ახსნიან, აღწერენ, გააანალიზებენ, რა არის საავტორო უფლებები და ეთიკური ნორმები.

№	აქტივობის აღწერა	გამოყენებული მეთოდი/ მეთოდები	კლასის ორგანიზების ფორმა/ ფორმები	სასწავლო რესურსები	დრო (წთ)
1	**აქტივობა1 – გამოწვევის ფაზა** საორგანიზაციო საკითხების შემდეგ, მასწავლებელი სვამს კითხვებს: – თქვენ ხშირად დადიხართ ღონისძიებებზე, კონცერტებზე. როდესაც გამოაცხადებენ შემსრულებელს, ასევე, ვის აცხადებენ ხოლმე? – მუსიკის ავტორს და ლექსის ავტორს? ორივეს? – წინა გაკვეთილზე ჩვენ გამოვიყენეთ ინტერნეტი, გადმოვწერეთ სურათები, ტექსტები. გახსოვთ, რომელი საიტიდან გადმოვწერეთ? არა? ავტორის მითითება აუცილებელია, ამ ქმედებას „საავტორო უფლებების დაცვა“ ეწოდება.	• ცოდნის შემოწმება; • განმარტებითი; • დისკუსია.	საერთო საკლასო	• თემის პრეზენტაცია; • პროექტორი; • სახელმძღვანელო; • საშინაო დავალების რვეული; • ინტერნეტსაიტები: http://www.myvideo.ge/v/2 498700 http://www.myvideo.ge/v/1 320272	7წთ
2	**აქტივობა 2.** მასწავლებელი: მოდით, ახლა ერთ პატარა ვიდეოს ვუყუროთ, სადაც ამ თემაზეა საუბარი. ჩავინიშნოთ უცხო სიტყვები. ბევრი უცხო სიტყვა შეგვხვდა. გავიხსენოთ: **1. საავტორო უფლება.** **2. პლაგიატი...** მოგეწონათ სიუჟეტი? საინტერესო იყო? მითხარით თქვენი აზრი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. რა გავიგეთ? მასწავლებელი ეთიკის ნორმებზე ამახვილებს ყურადღებას: გაიხსენეთ, თქვენ თუ გამოგიქვეყნებიათ სხვისი ნებართვის გარეშე სოციალურ ქსელში რაიმე? თუ გინდათ, დამიწერეთ ფერად ფურცლებზე, არ მიაწეროთ სახელი და გვარი. მე ვუპასუხებ ისე, რომ არ დავასახელებ ავტორს; ხომ არ დაგავიწყდათ როდესმე ავტორის მითითება პრეზენტაციაზე? როგორც ხედავთ, ეს დანაშაულია, ამიტომ კანონი არეგულირებს. მინდა, დღევანდელი გაკვეთილი მთელი ცხოვრება დაგამახსოვრდეთ და არასოდეს დაივიწყოთ ეთიკის ეს ნორმები. გარდა ამისა, წიგნში გვაქვს ეთიკის 5 ნორმა, რომლებიც მინდა აღნიშნულს დაამატოთ.	• ახსნა-განმარტებითი; • დისკუსია.	საერთო საკლასო	• ვიდეორესურსი	10წთ
3	**აქტივობა 3** **პრეზენტაცია ეთიკის ნორმებზე.** კენჭისყრით ურიგდებათ დავალებები, სადაც მითითებულია ეთიკის ნორმები. ვთავაზობ, შევქმნათ პლაკატი და გააფორმონ სურათებით, ჩარჩოებით. გამოიყენეთ სიმბოლოები (დაახლოებით, თქვენი თანატოლების მიერ გაკეთებული **ნიმუშით**), (**რესურსი**). მიაწერეთ თარიღი, გვარი, სახელი და კლასი. ყველა ნამუშევარს მითითებული **კრიტერიუმებით** შევაფასებ. შემდეგი გაკვეთილისთვის ამოვბეჭდავ და გამოვაკრავთ კლასში. გისურვებთ წარმატებებს. დავალების შესასრულებლად გეძლევათ ..... გთხოვთ, სანამ კლასს დატოვებთ, შემივსოთ შეფასების ფურცლები.	• პრაქტიკული სინთეზის ქმედებაზე ორიენტირებული მეთოდი	საერთო საკლასო	• შესასრულებელი სავარჯიშოს ნიმუში; • საიტი; აუდიორესურსი; • მოსწავლის შეფასების ფურცლები; სავარჯიშოს შეფასების ფურცლები; მასწავლებლის თვითშეფასება; • პროექტორი; • სახელმძღვანელო; • საშინაო დავალების რვეული; • ინტერნეტსაიტები: http://www.myvideo.ge/v/2 498700 http://www.myvideo.ge/v/1 320272	20წთ
4	**აქტივობა 4** ამოიწურა დრო. მინდა, გამოიტანოთ თქვენი ნამუშევარი ეკრანზე და წაიკითხოთ ეთიკის თითოეული ნორმა. პრეზენტაციას დავუთმობთ..... თითოეული მოსწავლე ეკრანზე გვიჩვენებს თავის ნამუშევარს და ხმამაღლა, კიდევ ერთხელ, იმეორებს ეთიკის ნორმებს. მასწავლებელი: ძალიან დიდი მადლობა, ჩემო კარგებო, დღეს ძალიან კარგად იმუშავეთ. **საშინაო დავალება** უცხო ტერმინების შესახებ (ვისაც რა შეხვდება წყვილებში) ინფორმაციის მოძიება; შეავსეთ შეფასების ფურცლები, ჩემთვის თქვენი აზრი ძალიან მნიშვნელოვანია.	• პრაქტიკული სინთეზის ქმედებაზე ორიენტირებული მეთოდი	საერთო საკლასო	• შეფასების ფურცლები; • სავარჯიშოს შეფასების ფურცლები; • მასწავლებლის თვითშეფასება; • პროექტორი; • სახელმძღვანელო.	8წთ

გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი შედეგები.

ისტ.V.5. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის ციფრული საშუალების შერჩევა და გამოყენება ინფორმაციის მოძიებისას და კვლევის პროცესში.
მოსწავლე:
• აცნობიერებს სკოლაში დადგენილ ნორმებს და იცავს მათ, სასკოლო ქსელისა და ციფრული საშუალებების გამოყენებისას;
• ციფრული მასალის გამოყენებისას, ითვალისწინებს ამ მასალის ავტორის უფლებებს და, საჭიროების შემთხვევაში, მიუთითებს ავტორს;
• ციფრული მასალის სხვადასხვა ფორმატის მქონე საცავებში (მაგალითად: მონაცემთა ბაზა, ინტერნეტი, ფაილების სისტემა, ფაილი) ძიებისას, შეარჩევს და იყენებს შესაბამის ციფრულ საშუალებებს;
• ინფორმაციის სანდოობის დასადგენად, ადარებს სხვადასხვა წყაროდან მოპოვებულ ინფორმაციას;
• იყენებს ისტ-ის იდეებისა და ინფორმაციის ორგანიზებისას;
• ახდენს მოძიებული ციფრული მასალისა და ინფორმაციის ინტერპრეტაციას და მასალას იმის მიხედვით აფასებს, თუ რამდენად სასარგებლო, სანდო, ადეკვატური და ზუსტია იგი;
• უთითებს ინფორმაციისა და ციფრული მასალის წყაროებს ან/და ავტორს.

ისტ.V.6. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის ციფრული საშუალებების შერჩევა და გამოყენება კომუნიკაციისა და თანამშრომლობისთვის.
მოსწავლე:
• იყენებს ტექსტური, გრაფიკული და აუდიომასალის შესაქმნელი საშუალების შესაძლებლობებს ციფრული მასალის საკომუნიკაციო ხარისხის გასაუმჯობესებლად (მაგალითად: ტექსტურ რედაქტორში ასოების ზომის, სტილისა და ფერის შერჩევა, ტექსტის ენობრივი გამართულობა);
• იცავს საკომუნიკაციო საშუალებების კორექტულად გამოყენების წესებს.

შეფასება

დისკუსიის შეფასების რუბრიკა
განმავითარებელი

	საუკეთესო	საშუალო	სუსტი
მოსმენა	ყოველთვის უსმენს და თვალყურს ადევნებს ორატორს.	ხშირად უსმენს და უყურებს ორატორს.	იშვიათად უსმენს და უყურებს ორატორს.
საუბარი	მკაფიოდ მეტყველებს და უყურებს მსმენელებს.	ძირითადად, მეტყველება გასაგებია და უყურებს მსმენელებს.	მეტყველება არამკაფიოა, მსმენელებს უჭირთ გაგება.
მონაწილეობა	უჩვენებს ინტერესს დისკუსიის თემისადმი საჭირო კომენტარებითა და აზრის გამოთქმით.	ძირითადად გამოხატავს ინტერესს. კომენტარები და აზრები ყოველთვის არაა თემის შესატყვისი.	მცირე ინტერესი აქვს. არ გამოხატავს ან ვერ უკავშირებს თავის მოსაზრებებს სადისკუსიო თემასთან.
კოოპერაცია	თანამშრომლობს თანაკლასელებთან, აცლის სხვებს აზრის გამოთქმას და იცავს დისკუსიის წესებს.	ძირითადად თანამშრომლობს თანაკლასელებთან, ზოგჯერ ერთვება სხვის საუბარში, ძირითადად იცავს დისკუსიის წესებს.	იშვიათად თანამშრომლობს და იცავს დისკუსიის წესებს.
მოსაზრების არგუმენტირება	მოსაზრება ორიგინალურია და გამყარებულია ფაქტებით, ცნებებით. არის ლოგიკური კავშირი საკითხთან.	მოსაზრების გასამყარებლად გამოყენებულია სადავო ფაქტები და ცნებები.	მოსაზრება მოკლებულია ლოგიკურ კავშირს საკითხთან და არ არის გამყარებული ფაქტებით

პრაქტიკული სავარჯიშოს განმსაზღვრელი
შეფასების კრიტერიუმები:

კრიტერიუმები	0 ქულა	1 ქულა	2 ქულა	ჯამური ქულა
ტექსტის გადმოწერა	არ არის გადმოწერილი ტექსტი.	ნაწილობრივ გადმოწერილია ტექსტი.	ტექსტი სრულადაა გადმოწერილი და ჩასმულია ნიმუშის მიხედვით.	
სურათის გაფორმება	არ არის გადმოწერილი სურათი.	გადმოწერილია მხოლოდ ერთი.	გადმოწერილია სამი სურათი და ჩასმულია ნიმუშის შეასაბამისად.	
ორიგინალურობა	ნამუშევარი არ გამოირჩევა ორიგინალურობით.	ნაწილოვრივ შეუტანია ორიგინალურობისთვის ელემენტები.	ნამუშევარი ორიგინალურია, თავისი აზრი კარგად აქვს დაფიქსირებუ-	
ფონი	ფონი არ არის გაკეთებული.	ფონი ნაწილობრივაა გაკეთებული.	ფონი სრულადაა გაკეთებული.	
გაფორმება	არ არის გაფორმებული.	არის გაფორმებილი, მაგრამ არ არის შესაბამისი სტილი.	კარგადაა ჩასმული ფიგურები, ნიმუშის მიხედვით გაფორმებულია.	

ისტ

მოსწავლის თვითშეფასების კითხვარი

	თვითშეფასების კრიტერიუმები	დიახ	ისე რა	არა
1.	გაკვეთილი კარგად იყო ორგანიზებული			
2.	მასალა იყო რთული			
3.	მომეწონა გაკვეთილის თემა			
4.	სამუშაო იყო საინტერესო			
5.	დისკუსია ჩემთვის საინტერესო იყო			
6.	ჩართული ვიყავი სწავლის პროცესში			
7.	მასწავლებელი მეხმარებოდა შეცდომების გაანალიზებაში			
8.	მასწავლებლის შეფასება იყო სამართლიანი			
9.	გაკვეთილს მაღალ შეფასებას ვაძლევ			

მასწავლებლის თვითშეფასება:

	თვითშეფასების კრიტერიუმები	
1.	რა საჭიროებს ცვლილებებს	
2.	რამ გაამართლა	
3.	დისკუსია წარმართული იყო კარგად	
4.	თავიდანვე ვაცნობ მოსწავლეებს გაკვეთილის მიზანს	
5.	ეფექტურად ვიყენებ დროს	
6.	ვთანამშრომლობ მოსწავლეებთან პრობლემის გაჩენისას	
7.	თანაბრად გადავანაწილე მოსწავლეების მიმართ ჩემი ყურადღება	
8.	მოსწავლეები კარგად გრძნობენ თავს გაკვეთილზე	

რეფლექსია

ჩემი გაკვეთილის მიზანი იყო, მოსწავლეებისთვის გამეცნო ის ეთიკური და საკანონმდებლო ნორმები, რომებლიც მათ აუცილებლად უნდა იცოდნენ. ზოგადად, ეს თემა ძალიან აქტუალურია დღევანდელ პირობებში, როდესაც თითოეული მოსწავლე, თავისი სასწავლო პროგრამით, გასართობი აქტივობებითა თუ კომუნიკაციით დამოკიდებულია ინტერნეტსივრცეზე. ამ თემის კარგად შესნავლა და გაგება, ვფიქრობ, მოსწავლეებისთვის მნიშვნელოვანია. მიხარია, რომ ამ გაკვეთილზე მე ეს შევძელი.

გაკვეთილის გეგმაში აღწერილი ყველა აქტივობა დაგეგმილი მქონდა დისკუსიის ფორმატში, გამოყენებული მქონდა სიტუაციური ამოცანები. შევეცადე, თემა დამეკავშირებინა თანამედროვე ყოველდღიურ ცხოვრებასთან, ამიტომ, გონებრივი იერიშით გავააქტიურე წინარე ცოდნა ავტორის უფლებებზე, გავარკვიე, იცოდნენ თუ არა ის აუცილებელი წესები, რომლებიც უნდა გამოვიყენოთ პრეზენტაციების შესრულების დროს. ამ თემის ნათლად წარმოჩენისთვის, რესურსად, გამოვიყენე სატელევიზიო 3-წუთიანი სიუჟეტი.

მე-5 კლასის მოსწავლეებისთვის საკმაოდ საინტერესო აღმოჩნდა თემა. გაირკვა, რომ აღნიშნულ თემაზე არაფერი იცოდნენ. თითოეული მათგანი დიდი სიამოვნებით ჩაერთო დისკუსიაში, მოიყვანეს თავიანთი ცხოვრებისეული მაგალითები. მე წინასწარ გამზადებული პრეზენტაცია ვაჩვენე, რომელშიც დაწვრილებით იყო საუბარი ეთიკისა და საავტორო ნორმებზე.

თემა უფრო მეტად დასამახსოვრებელი რომ ყოფილიყო, გამოვიყენე პრაქტიკული სინთეზის, ქმედებაზე ორიენტირებული მეთოდი, თითოეულ მოსწავლეს ეთიკის ნორმაზე უნდა შეესრულებინა პლაკატი. დავალებაში მითითებული მქონდა შეფასების კრიტერიუმები, ასევე რომელი შესწავლილი ინსტრუმენტები გამოეყენებინათ. მსგავსი სავარჯიშოებით ძალიან ადვილად ვაფასებ განმსაზღვრელი შეფასებით.

პრაქტიკული დავალების შემდეგ – მოსწავლეებმა, თავიანთი პლაკატებიდან გამომდინარე, კიდევ ერთხელ გააკეთეს დასკვნა. მათი კარნახით ჩამოვწერე დაფაზე საავტორო უფლებების მთავარი ნორმები.

მათი დისკუსიაში ჩართულობა შევაფასე განმავითარებელი შეფასებით, ყველა მოსწავლე აქტიურად იყო ჩართული გაკვეთილის მსვლელობაში. გამოვიყენე შეფასების ბარათები.

თემის აქტუალურობიდან გამომდინარე, გაკვეთილის ბოლოს, დავამატე შემაჯამებელი ვიქტორინა. ამით კიდევ ერთხელ დავეხმარე მოსწავლეებს, გაეაზრებიათ ახალი მასალა.

სამწუხაროდ, არ მიჩვენებია მოსწავლეებისთვის ჩემი რესურსების ბლოგი nozadzeblogi.blogspot.com, სადაც ახალი მასალის რესურსები მაქვს ატვირთული (რომლის მისამართი მათ საშინაო დავალების რვეულებში ჩავაწერინე და ხშირად ვიყენებთ). მომავალში აუცილებლად უნდა გავითვალისწინო, მათი სწავლების საფეხურიდან გამომდინარე.

მიუხედავად გაკვეთილის თემის ორიგინალურობისა, მოსწავლეები დიდი სიამოვნებით ერთვებიან მსგავს აქტივობებში, ისტ-ის სწავლების დროს. რამდენადაც გასაკვირი უნდა იყოს, სხვა საგნებში დაბალი მოსწრების მოსწავლეები ისტ-ის გაკვეთილზე გაცილებით აქტიურები არიან, მათ ძალიან კარგი უნარ-ჩვევები აქვთ, სხარტი გონება და მიცემულ დავალებას ყოველთვის სიamოვნებით ასრულებენ. ვფიქრობ, ყოველი გაკვეთილი საინტერესო იდეების მქონე მოსწავლეების აღმომჩენია, რაც მე ძალიან მახარებს.

ნანა ნოზაძე
თბილისის კლასიკური გიმნაზიის ისტ-ის პედაგოგი

სწავლების მეთოდი

ყოველი დღე სიახლის მოლოდინით უნდა იწყებოდეს...

რთულია დღევანდელი თაობის დაინტერესება და საგაკვეთილო პროცესში აქტიური ჩართვა. თანამედროვე ბავშვს, თანამედროვე გაკვეთილი სჭირდება. ეფექტური გაკვეთილი კი, პედაგოგის შემოქმედებითი უნარებისა და სიახლეებზე ორიენტირებული აქტივობებით მიიღწევა. ყოველი ახალი დღე საინტერესო სიახლის მოლოდინით უნდა იწყებოდეს... სწორედ ამიტომ მიყვარს არაფორმალურ გარემოში გაკვეთილების ჩატარება. ხშირად გვნახავთ მე და ჩემს პატარებს ბაღში, წისქვილში, მდინარის პირას, წყაროსთან. შინაური ცხოველები ფერმაში ავხსენით, გარეული ცხოველები კი – კონტაქტურ ზოოპარკში. ბედნიერი ვარ, როცა მოსწავლეები გაკვეთილისგან სიამოვნებას იღებენ, სხვადასხვა აქტივობებით ვაღვიძებ მათში ცნობისმოყვარეობას, რაც თანდათან ცოდნისმოყვარეობაში გადაიზრდება.

არაფორმალურ გარემოში კიდევ ერთი გაკვეთილის ჩატარების იდეა თემამ „საქართველო ჩემი სამშობლოა“ მიკარნახა. პროვოცირებისათვის გამოვიყენე აქტივობა „გონებრივი იერიში“: რა ვიცი ჩემი ქვეყნის შესახებ? მოსწავლეებმა ისაუბრეს: ზღვაზე, დედაქალაქ თბილისზე, ქალაქ მუზეუმ მცხეთაზე, გონიოს ციხეზე, რომელიც მოვინახულეთ, პეტრეს ციხეზე, რომლის ძირასაც ჩვენი სოფელია გაშენებული. მოტივაციის ამაღლების მიზნით პატარებს ვაჩვენე ვიდეორგოლი „ჩემო კარგო ქვეყანავ“, რომელიც თავად მოვამზადე. ბავშვები აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ. ზოგს ვარძია მოეწონა, ზოგს – უფლისციხე... ბავშვებს ფერად ფურცლებზე დავაწერინე რომელი ძეგლი მოეწონათ და რის ნახვას ისურვებდნენ ყველაზე მეტად? ამის შემდეგ კი გავუმხილე, რომ მოვუმზადე სიურპრიზი, ეზოში გველოდებოდნენ მშობლები და ავტობუსი, რომლითაც მუზეუმში „საქართველო მინიატურებში“ მივდიოდით. მოსწავლეები მართლაც ჯადოსნურ სამყაროში აღმოჩნდნენ. მთელი საქართველო, თავისი ღირსშესანიშნაობებით, მათ წინ გადაიშალა. სიურპრიზი ამით არ დამთავრებულა – ფერადი ბარათების გათვალისწინებით, იმ ძეგლთან მიმყავდა, რომლის ნახვაც სურდათ მოსწავლეებს და მშობლების დახმარებით, სასურველ ძეგლს ნატურიდან ხატავდნენ. ნახატები წამოვიღეთ და გამოფენა მოვაწყეთ.

ბავშვები უზომოდ ბედნიერები იყვნენ, შთაბეჭდილებებს თანატოლებს უზიარებდნენ. მჯერა, მე მათში პატარა პატრიოტი ქართველები გავაღვიძე და ეს გაკვეთილიც არასოდეს დაავიწყდებათ.

ლეილა ქათამაძე
ციხისძირის საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელი

„გაყინული ეპიზოდი“ (ანუ *tableau vivant*) საკლასო ოთახში

რა არის **tableau vivant**?

tab·leau vi·vant (*ფრანგ.* tȧ blō vē vän′ – ცოცხალი სურათი) არის ეპიზოდის ან სურათის უხმოდ, მოძრაობის გარეშე წარმოდგენა პიროვნების ან ჯგუფის მიერ.

სასწავლო პროცესში „გაყინული ეპიზოდი“ რამდენიმე ძირითადი მიზნის მიღწევას ემსახურება:

- მხატვრული ნაწარმოების ან ცხოვრებისეული მოვლენის გაგება და ანალიზი;
- ნაწარმოების ან რეალური პერსონაჟის ხასიათის, გრძნობების, მოტივების ამოცნობა და ანალიზი;
- ავტორის სათქმელისა და დამოკიდებულების გაგება;
- ნაწარმოებში გამოყენებული ესთეტიკური ხერხების გაგება და ანალიზი;
- იდეის, გრძნობის, განწყობის, სულიერი მდგომარეობის შემოქმედებითად გამოხატვა;
- სოციალური ინტერაქცია და გუნდური მუშაობა.

ტექნიკის გამოყენება შესაძლებელია სამივე ფაზაზე, გაკვეთილის სამფაზიან მოდელში. მეთოდი გამოვიყენე ი. გოგებაშვილის „ქურდი და მამალის“ სწავლების დროს, გაკვეთილის B ფაზაზე (შინაარსის რეალიზება/ცოდნის კონსტრუირება), შემდეგი მიზნებით:

- მხატვრული ნაწარმოების ან ცხოვრებისეული მოვლენის გაგება და ანალიზი;
- ნაწარმოების ან რეალური პერსონაჟის ხასიათის, გრძნობების, მოტივების ამოცნობა და ანალიზი;
- სოციალური ინტერაქცია და გუნდური მუშაობა.

ტექსტი წავიკითხეთ კლასში, ლექსიკური მუშაობისა და კითხვა-პასუხის შემდეგ დავყავით ეპიზოდებად. გაცოცხლებული ეპიზოდების დასადგმელად კლასი გავყავი მცირე ჯგუფებად (თითოეულ ჯგუფში – 3 მოსწავლე). თითოეულ ჯგუფს დავურიგე ტექსტი. ჯგუფებმა შეარჩიეს მათთვის მნიშვნელოვანი ეპიზოდი, იმუშავეს გაყინული მომენტის შესაქმნელად. ერთ-ერთი მოსწავლე ასრულებდა რეჟისორის როლს, დანარჩენებმა გააცოცხლეს ეპიზოდი და უჩვენეს კლასს, დაახლოებით, ერთი წუთის განმავლობაში.

კლასი ცდილობდა, გამოეცნო ვინ არის წარმოდგენილი მოცემულ „გაყინულ ეპიზოდში“. „ფოტომოყვარულმა“ მოსწავლეებმა გადაიღეს ფოტოები.სწორი პასუხის მიგნების შემდეგ, დაიწყო დისკუსია პერსონაჟების, მოვლენების, გარემოებებისა და მოქმედებების შესახებ, რომლებიც ნაწარმოებს უკავშირდება.შეჯამების სახით, წარვმართე რეფლექსია შესრულებულ სამუშაოზე. მოსწავლეებმა იმსჯელეს ისეთი შეკითხვების გარშემო, როგორიცაა: რა გავაკეთეთ? რა გამოგვივიდა კარგად? თავიდან რომ დაგვედგა, რას შევცვლიდით? როგორ დაგვეხმარა მეთოდი საკითხის გაგებასა და ათვისებაში?

„სტუმრის სახლში შეპატიჟება“

„ფიცი მწამს – ბოლო მაკვირვებს“

„ტყუილს მოკლე ფეხები აქვს“

შესაბამისად, მეთოდმა ხელი შეუწყო წაკითხვის შემდგომ, სიღრმისეულ გააზრებასა და შეჯამებას. გადაღებული ფოტოებით მოსწავლეებმა შექმნეს პლაკატი, დააწერეს ეპიზოდებს სათაურები და გამოაკრეს საკლასო ოთახში. დიდი ინტერესით ათვალიერებდნენ დასვენებებზე და ერთმანეთს ჩთაბეჭდილებებს უზიარებდნენ.

მოსწავლეებს ძალიან მოეწონათ სწავლის პროცესის დინამიურობა და ინტერაქტიულობა. აქტივობამ ხელი შეუწყო მოსწავლეთა კოგნიტური, ემოციური, სოციალური (ინტრაპერსონალური და ინტერპერსონალური) უნარების განვითარებას, ტექსტის სიღრმისეულ გააზრებას.

მიუხედავად საბოლოო „პროდუქტის“ ერთგვარი სტატიკურობისა, ეს მეტად დინამიური აქტივობაა. იგი ააქტიურებს მოსწავლეთა კრიტიკულ აზროვნებას და შემოქმედებით უნარებს. რაც შეეხება თემატიკას, მთავარია, რომ შესაძლებელი იყოს შერჩეული თემის *ინტერპრეტაცია* და *დადგმა* „გაყინული სურათის“ სახით. ამას მოსდევს დადგმული სცენის იდეის/არსის გამოცნობა და შემდგომი დისკუსია.

მეთოდის გამოყენების ვარიაციები:

- „გაყინული ეპიზოდი“ ნაწარმოების (მოთხრობის, ზღაპრის, ლეგენდის, იგავის და სხვ.) მიხედვით;
- „ცოცხალი სურათი“ ფერწერული ნამუშევრის ან ფოტოსურათის მიხედვით. ეფექტურად იყენებენ საკლასო ოთახსა და მუზეუმში.

მოსწავლეთა ასაკი

- მეთოდის/ტექნიკის გამოყენება შესაძლებელია სკოლამდელი ასაკიდან მოყოლებული, საუნივერსიტეტო ასაკის ჩათვლით.

ირინე ნადირაშვილი
სსიპ №83 საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა:
https://docs.google.com/document/pub?id=14g9u2uNQYft6_pWhYtKnM9Rp0V-HyxSRYCPordnRLIM;
ი. გოგებაშვილი – „ქურდი და მამალი“.

პედაგოგთა დასახმარებლად

როგორ ვასწავლი პუნქტუაციას VI კლასს

სკოლამ უნდა ჩაუყაროს საფუძველი წერის კულტურას, რაც საკმაოდ რთული პროცესია. თუ დაწყებით საფეხურზე არ განვითარდა მოსწავლეებში წერითი მეტყველება, შესაძლებელია, ეს პრობლემა მუდმივად გაჰყვეთ. მოსწავლეებს, სამწუხაროდ, უჭირთ სასვენი ნიშნების მართებულად გამოყენება, ხშირად საუბრისას აზრს სწორად და კარგად აყალიბებენ, მაგრამ წერისას – ლოგიკურად და თანმიმდევრულად ვერ ალაგებენ, რაც, ჩემი აზრით, ბევრ სხვა მიზეზთან ერთად, გამოწვეულია სასვენ ნიშანთა გამოყენების სირთულეებითა და ნასწავლი თეორიული მასალის წერით პრაქტიკაში გადატანის ჩვევის უქონლობით.

სასვენ ნიშანთა გამოყენებასთან დაკავშირებით, ზოგადად, ძალიან მძიმე მდგომარეობა გვაქვს; ზრდასრული და პროფესიას დაუფლებული ადამიანები ხშირად ვერ ფლობენ პუნქტუაციის ელემენტარულ წესებს. ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში შედგენილი საქმიანი ქაღალდებიდან ზოგჯერ აზრის გამოტანა ჭირს. სათქმელის თანმიმდევრული და გასაგები ენით წერისას, მართლწერის სხვა წესების დაცვასთან ერთად, საჭიროა სასვენი ნიშნების სწორად გამოყენება, რადგან მათ წინადადებაში ხანდახან აზრის რადიკალურად შეცვლა შეუძლიათ.

პუნქტუაციის შესწავლისას ინტერესის გამოსაწვევად, თავდაპირველად მოსწავლეებს ვაცნობ ავთანდილ არაბულის სახელმძღვანელოში (VI კლასი) წარმოდგენილ ამბავს „მძიმით აცილებული მძიმე განაჩენის შესახებ“, რითაც განწყობასაც ვქმნი და სასვენ ნიშანთა უდიდეს მნიშვნელობასაც ვააზრებინებ.

რუსეთის მეფის მეუღლემ მოახერხა, გამოტანილ განაჩენში ერთი მძიმე გადაენაცვლებინა და ამით, ამ სასტიკი წინადადებისათვის სულ სხვა შინაარსი მიენიჭებინა: „ეპატიოს, შეუძლებელია გაიგზავნოს ციმბირში!“. ასე იხსნა იმპერატორის მეუღლემ ტუსაღი გადასახლებისაგან. ის ტექსტი კი, რომლითაც მეფე პატიმარს ციმბირში ისტუმრებდა, ასეთი იყო: „ეპატიოს შეუძლებელია, გაიგზავნოს ციმბირში“. შემდეგ კი, ამავე სახელმძღვანელოში, დიალოგის ფორმით, სასვენი ნიშნების საშუალებით გადმოცემულ ამბავს ვუკითხავ.

მხოლოდ სასვენი ნიშნებით ძალიან კარგად გამოხატეს აზრი ცნობილმა ფრანგმა მწერალმა ვიქტორ ჰიუგომ და მისმა გამომცემელმა. ჰიუგომ ერთ-ერთი რომანის გამოქვეყნების შემდეგ გამომცემელს წერილი გაუგზავნა, ფურცელზე მხოლოდ კითხვის ნიშანი იყო გამოსახული. მას არც გამომცემელი ჩამორჩა და პასუხად ძახილისნიშნიანი ფურცელი გამოუგზავნა. „?“ – „!“ – ამ ყველაზე მოკლე მიმოწერით მწერალმა შეიტყო, რომ ახალგამოსულმა წიგნმა მკითხველთა დიდი ინტერესი დაიმსახურა.

I აქტივობა – შემდეგ მოსწავლეებს მონიტორით ვაჩვენებ ავთანდილ არაბულის წიგნში დაბეჭდილ უსასვენნიშნებო ლექსს „პუნქტუაცია“. ერთ-ერთ მოსწავლეს, ხმამაღლა ვაკითხებ ლექსს. შემდეგ კლასს ვყოფ ჯგუფებად და ვავალებ, გადაიწერონ მოცემული ლექსი და დასვან სათანადო სასვენი ნიშნები. სამუშაოს დასრულების შემდეგ ჯგუფები აკეთებენ პრეზენტაციას.

წარმოდგენილ ნამუშევრებს კიდევ ერთხელ შეასწორებენ მასწავლებლის დახმარებითა და ნამუშევრების ერთმანეთთან შეჯერებით. გამოვლენილი შეცდომების გაანალიზების შემდეგ იხსენებენ და აყალიბებენ იმ წესებს, რომელთა არცოდნამ გამოიწვია შეცდომები.

გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეებს ვავალებ, ზეპირად ისწავლონ ლექსი „პუნქტუაცია“. ამ ლექსის ზეპირად ცოდნა მათ დაეხმარება სასვენი ნიშნების ხმარების შესწავლა-გახსენებასა და გააზრებაში.

II აქტივობა – მოსწავლეებს ვაძლევ დავალებებს, რომელთა შესრულება მათ დაეხმარება, გაივარჯიშონ შინაარსის მიხედვით წინადადების ტიპების ამოცნობაში, რაც, თავის მხრივ, აუცილებელია, რათა სწორად დასვან სასვენი ნიშნები. მაგალითად, თუ მოსწავლე ვერ ცნობს კითხვით ან კითხვით-ძახილის წინადადებებს, ანდა ძახილისა თუ ბრძანებით წინადადებებს, ცხადია, მართებულად ვერ დასვამს სასვენ ნიშნებს. ამიტომ ამგვარ სავარჯიშოებს დიდი მნიშვნელობა აქვს პუნქტუაციის წესების დაუფლებისას.

III აქტივობა – მოსწავლეთა შემაჯამებელი ნაწერებიდან ამოვკრებ წინადადებებს, რომლებშიც სასვენ ნიშნებთან დაკავშირებული შეცდომებია დაშვებული. ამ წინადადებებს მოსწავლეებს ვაწერინებ დაფაზე და ვთხოვ, დასვან სასვენი ნიშნები. თან ავახსნევინებ, თუ რატომ სვამენ ამა თუ იმ სასვენ ნიშანს, ვეხმარები მეც. ასევე, ვმუშაობთ საშინაო დავალების რვეულებიდან ამოკრებილ წინადადებებზეც.

ეს მეთოდი ხელს უწყობს მართლწერის გაუმჯობესებასა და პუნქტუაციის შესწავლას, რადგან თვალითაც ხედავენ დაფაზე დაწერილს, წერისას თვითონაც უფრო იმახსოვრებენ და იაზრებენ კიდეც თეორიულად.

IV აქტივობა – დაწყებითი კლასის მოსწავლეებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია სახალისო გაკვეთილი, თამაშის ელემენტებით. ამიტომ მოსწავლეებს ვთხოვ, მოირგონ სასვენი ნიშნების როლი და ისწავლონ შესაბამისი სტროფები ლექსიდან, რომელიც სასვენ ნიშნებს ეხება (ავთანდილ არაბულის „პუნქტუაცია“, მე-6 კლასი; „ავთანდილ არაბულის მიხედვით“ – ენობრივ უნართა ტესტები, ზურა ვახანია, მე-6 კლასი; ზოგიერთ სასვენ ნიშანზე ჩვენ მიერ შექმნილი სტროფები).

როლური თამაში

დღედაღამ არ ისვენებენ
ეს სასვენი ნიშნები,
ციბრუტივით ტრიალებენ
საქმიანი ბიჭები.

წერტილი:
სასვენ ნიშანთ დიდი მეფე
წერტილია პაწია,
ის ყველაზე საჭიროა
სულ არაა პრანჭია.
სადაც წერტილს დავაბრძანებთ,
აზრიც იქ დამთავრდება,
უწერტილოდ ვერ მივიღებთ
თხრობით წინადადებას.

მძიმე:
ამ პატარა თავკომბალას
საქმე ანდეს მძიმეო,
წერტილამდე აზრი, სიტყვა
მძიმედ ანანილეო.

წერტილ-მძიმე:
ერთნაირი აზრის შემცველ
მოკლე წინადადებებს
თუ გამიჯნავ წერტილ-მძიმით
არასოდეს ინანებ.

კითხვის ნიშანი:
ეჭვით ხომ არ გაღუნულა
წელში კითხვის ნიშანი?
გვეკითხება: ვინ? სად? რატომ?
რა არისო მიზანი?

ძახილის ნიშანი:
ბრძანება კი ამას უყვარს
ხმამაღალი მახვილი!
მწყემსის კომბალს ჰგავს ნიშანი
გრძნობისა და ძახილის!

კითხვა-ძახილის ნიშანი:
სასვენ ნიშნებით დაამშვენეთ თქვენი რვეული,
კითხვით-ძახილის ნიშანს დასვამ?
– შენ ხარ გრძნეული.

მრავალწერტილი:
...ეს ნიშანი კი აღნიშნავს
აზრს და სათქმელს გაწყვეტილს,
მრავალწერტილს უწოდებენ
ამ მიწყობილ სამ წერტილს...

ორწერტილი:
სადაცაა დაზუსტება
ანდა – ჩამონათვალი:
ორწერტილი ბებოსავით
დინჯადა ზის სათვალით.

ტირე:
როცა სიტყვას გამოტოვებთ,
ტირეს დასვამთ გაწელილს –

დეფისი:
დეფისი კი, მოკლე ხაზი -
დარაჯია ნაწერის.
გვინდა სიტყვის გადატანა-
სწორედ იქ დაფრინდება
და კავშირის შემცვლელია,
რთულ სიტყვებშიც გვჭირდება.

ფრჩხილები:
( ) ამ რკალებს, ალბათ, ყველამ იცით,
ჰქვია ფრჩხილები,
(თითქოს შუაზე გაუჭრიათ
შავი ღილები).

ბრჭყალები:
გაგვიხარდა, გააუქმეს,
გამოცდები „კატისა“
ციტატისთვის, ნაფიქრისთვის
გვაქვს ბრჭყალები კატისა.
წერით აზრს ვერ დავალაგებთ,
(ნახეთ გაწამაწია)
თუკი დაგვავიწყდა ჩვენი
მეგობრები პაწია.
სასვენ ნიშნებით დაამშვენეთ თქვენი რვეული,
სვენებით წერეთ, არ დატოვოთ სიტყვა ეული.
თუ იცი, ასეთ წესებს ითხოვს პუნქტუაცია,
მის წესს ვინც არ დაისწავლის, ის ზარმაცია.

მოსწავლეები ამ ლექსების წარმოთქმის დროს თავიანთი როლის დამადასტურებლად იყენებენ მუყაოსგან დამზადებულ სასვენ ნიშნებს. ეს სახალისო ინტერვენციაც გვეხმარება სასვენ ნიშანთა გამოყენების გააზრებადასწავლაში.

V აქტივობა – შევიტან ტექსტს, რომელშიც არ არის დასმული სასვენი ნიშნები და ვკითხულობთ, კითხვისას ის მოსწავლე, რომლიც გამოსაყენებელი ნიშნის როლშია, წამოდგება თავზე დამაგრებული შესაბამისი სასვენი ნიშნით. ეს ააქტიურებს ცოდნას და უფრო ხალისითა და თვალსაჩინოებით სწავლობენ.

VI აქტივობა – ერთგვარი თამაშია რიცხვებით სასვენ ნიშანთა ამოცნობა. შევიტან ტექსტს, რომელშიც გარკვეული სიტყვების შემდეგ ჩაწერილია რიცხვები. მათ უნდა ამოიცნონ, რომელი რიცხვების ადგილას არის საჭირო მძიმე.

VII აქტივობა – სასვენ ნიშანთა უკეთ შესწავლის მიზნით საჭიროდ ჩავთვალე, გაგვეკეთებინა თვალსაჩინოება, რომელიც კედელზე გავაკარით, მოსწავლეები დროდადრო შეავლებდნენ თვალს. ამით ისინი ავტომატურად, თავისდაუნებურად გაიმეორებენ, როცა სჭირდებათ, გაავლებენ პარალელს და უკეთ დასვამენ მათთვის საჭირო სასვენ ნიშნებს.

ზემოთ ჩამოთვლილი აქტივობები ჩვენი გაკვეთილების თითქმის ყოველდღიური შემადგენელი ნაწილია. მათ გაკვეთილის ბოლოს რამდენიმე წუთს ვუთმობთ, ან ერთ გაკვეთილს – მთლიანად, რათა პუნქტუაციის წესების ცოდნა და მათი საჭიროებისამებრ გამოყენება ჩვევაში გადაუვიდეთ. ზოგიერთი აქტივობის გამოყენება მართლწერაში არსებული სხვა სირთულეების დაძლევაშიც დაგვეხმარება.

სახალისო ელემენტების შეტანამ მოსწავლეები განსაკუთრებით დააინტერესა, სიამოვნებით შეისწავლეს ლექსები. ხშირმა პრაქტიკულმა სამუშაოებმა ხელი შეუწყო თეორიული ცოდნის გაღრმავებას.

ვფიქრობ, დაწყებით საფეხურზე პუნქტუაცია უნდა ისწავლებოდეს პრაქტიკულად და საგაკვეთილო პროცესში სახალისო ელემენტების შეტანით. ამ ეტაპზე თეორიულად ყველა საკითხი არ ისწავლება, რადგან მოსწავლეებისათვის ჯერ უცხოა გრამატიკის ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი (განკერძოება, ჩართული, დანართი, შერწყმული წინადადება, რთული თანწყობილი და ქვეწყობილი წინადადებები და სხვა), მათი სიღრმისეული სწავლება შემდეგ კლასებში გაგრძელდება.

ქეთევან ძნელაძე
სსიპ ქალაქ თბილისის №128 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი

როგორ შევაყვაროთ კითხვა

მოზარდის გემოვნებიან მკითხველად ჩამოყალიბება რთული პროცესია, რომლის მართვა, პირველ რიგში, სიტყვიერების მასწავლებლის მოვალეობაა. ეროვნული სასწავლო გეგმა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს უყენებს მოთხოვნას, მოსწავლეებს „შეაყვაროს კითხვა; გამოუმუშაოს ლიტერატურის, როგორც სიტყვის ხელოვნებისა და კულტურის ფაქტის, აღქმისა და გაცნობიერების უნარი“ (ესგ).

კითხვა, სწავლების ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება, არის საფუძველი წიგნიერებისა, რომელიც თანამედროვე სრულფასოვანი პიროვნების ჩამოყალიბების აუცილებელი პირობაა. იგი ემსახურება უნარების გამომუშავებას, მშობლიურ და მსოფლიო სიტყვიერ ხელოვნებასა და სულიერ კულტურასთან ზიარებას.

კითხვისადმი საზოგადოების დამოკიდებულება სხვადასხვა დროს სხვადასხვაგვარი იყო. კომპიუტერისა და ინტერნეტის გამოჩენის შემდეგ კითხვისადმი ინტერესი საგრძნობლად განელდა. ამ ბოლო დროს, ნამდვილი ბუმია წიგნის ბაზარზე. გამომცემლობები თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებიან, იბეჭდება სხვადასხვა ჟანრისა და თემატიკის ლიტერატურა, იგრძნობა წიგნისკენ შემობრუნებაც, თუმცა, პრობლემა კვლავ პრობლემად რჩება – ახალგაზრდა თაობა ნაკლებად კითხულობს. ლექსიკის სიღარიბე, დამოუკიდებელი აზრის ჩამოყალიბების, ლოგიკური თანმიმდევრობით მსჯელობის უნარების დეფიციტი (რაც ყველაზე ხშირად თხზულების წერისას იჩენს თავს) უწიგნურობის თანმდევი პრობლემებია.

მკითხველად ჩამოყალიბება რთული პროცესია, რომელიც სწორი სტრატეგიების განხორციელებას საჭიროებს. როგორც კი ბავშვი კითხვას ისწავლის, მას წასაკითხად უნდა შევთავაზოთ ხალხური ზღაპრები, შემდეგ – საბავშვო ლიტერატურა, ასაკის მატებასთან ერთად – ვაკითხოთ მშობლიური და მსოფლიო ლიტერატურის კლასიკა. მშობელმაც და მასწავლებელმაც ზუსტად უნდა იცოდეს, როდის, რა ასაკში, რა სახისა და მოცულობის ლიტერატურა შესთავაზოს ბავშვს. ამ საქმეში მასწავლებელი უფრო კომპეტენტურია, ამიტომაც მან უნდა იკისროს პასუხისმგებლობა მოსწავლის გემოვნებიან მკითხველად ჩამოყალიბების პროცესზე.

არამც და არამც არ დავაძალოთ იმის წაკითხვა, რაც არ დააინტერესებს, რადგან *„არასწორია თავის იძულება რომელიმე შედევრის წასაკითხად მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ცნობილია და სირცხვილია მისი არცოდნა. პირიქით, კითხვა ყოველი კაცისთვის ბუნებრივი რამ უნდა იყოს“* (ჰერმან ჰესე). იძულება მოზარდს კითხვას აძულებს, რაც კვლევებითაც დასტურდება. სასურველია, გამოიცეს კომპეტენტური პირების მიერ შექმნილი სპეციალური ბუკლეტები, სარეკომენდაციო წასაკითხი ლიტერატურის შესახებ. საუბრებით უნდა დავარწმუნოთ მოზარდები, რომ, მართალია, *„კომპიუტერი წიგნიერების ახალი სახეა. მას შეუძლია ათასგვარი ინფორმაციის მიწოდება, მაგრამ წიგნის შეცვლა მას არ შეუძლია“* (უმბერტო ეკო), მხოლოდ წიგნებით მიღებული ცოდნაა ღრმა და საფუძვლიანი, რომ *„ ყოველი ახალი წიგნის წაკითხვის შემდეგ ხდები უკეთესი, ვიდრე იყავი“* (გურამ დოჩანაშვილი).

მინდა გაგიზიაროთ როგორ ვაყვარებ ჩემს მოსწავლეებს კითხვას:

- წიგნებს ვურჩევ წასაკითხად ასაკისა და ინტერესების გათვალისწინებით;
- განსაზღვრულ დროში, ყველა მოსწავლე კითხულობს ერთსა და იმავე წიგნს (იყენებენ მარკირებული კითხვის სტრატეგიას – ინიშნავენ მნიშვნელოვან ფრაზებს, პერსონაჟის მახასიათებლებს, ამზადებენ კითხვებს);
- ავსებენ ცხრილს, რომლის სვეტებში წერენ მნიშვნელოვან ინფორმაციას: ავტორი, სათაური, ეპოქა, ჟანრი, პერსონაჟები, შეკუმშული სიუჟეტი, ყველაზე საინტერესო ეპიზოდი, ყველაზე საინტერესო ფრაზები ტექსტიდან;
- კითხვის დასრულების შემდეგ ვაწყობთ განხილვებს, მოსწავლეები სვამენ და პასუხობენ კითხვებს, ავლებენ პარალელებს სხვა ტექსტებთან, საკუთარ გამოცდილებასთან, წარმოაჩენენ პერსონაჟებს, რომლებიც ყველაზე მეტად მოეწონათ და ასაბუთებენ თავიანთ არჩევანს;
- მოსწავლეები შეარჩევენ მათთვის საინტერესო ეპიზოდებს ნაწარმოებიდან, ამზადებენ სცენარებს და გაითამაშებენ;
- ასრულებენ წერით დავალებებს (გამოხმაურებას წაკითხულზე, ანოტაცია, წერილები პერსონაჟს (მოსწავლეები სხვადასხვა პერსონაჟის, მკითხველის პოზიციიდან წერენ ნებისმიერ პერსონაჟს)...

ზაფხულის არდადეგების დაწყებამდე, მოსწავლეებს ვურჩევ ასაკის შესაბამის ლიტერატურას. სკოლაში დაბრუნების შემდეგ კი, ნებისმიერი ფორმით (პოსტერის, ილუსტრაციების და სხვ.), გააკეთებენ წაკითხული წიგნების პრეზენტაციას; წიგნაკებში ამოიწერენ ციტატებს, რომლებიც განსაკუთრებულად მოეწონებათ.

რა თქმა უნდა, ტექნოლოგიებსაც არ ვივიწყებთ. კლასში ვამზადებთ ელექტრონულ პრეზენტაციებს თემებზე: ჩემი საყვარელი წიგნი, ჩემი საყვარელი პერსონაჟი, მე და წიგნი და სხვ.

სწორად შერჩეული სტრატეგიებითა და მათი მრავალჯერადი გამოყენებით მივაღწევთ, რომ ჩვენი მოსწავლეები აქტიურ მკითხველებად ჩამოყალიბდნენ, კითხვა მათი ცხოვრების აუცილებელი და სასიამოვნო ნაწილი გახდეს.

მარინე კვარაცხელია
ქართული ენისა და ლიტერატურის წამყვანი მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა:
1. დოჩანაშვილი გ., „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“ (მოთხრობა)
2. ესგ, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი;
3. ეკო უ., წიგნი თუ კომპიუტერი? (პუბლიცისტური წერილი);
4. ჰესე ჰ., მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა (ნარკვევი).

სასკოლო აქტივობა

ღია კარის დღე სკოლაში

სახელმწიფომ სკოლის დირექტორებს კონკრეტული ამოცანები დაგვისახა ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებისა და ეროვნული სასწავლო გეგმის სახით, შესაბამისად, სკოლის მუშაობის ხარისხიც, პირველ რიგში, იმით იზომება, რამდენად აღწევს სკოლა იმ მიზნებს, რომელიც სახელმწიფომ განუსაზღვრა, რამდენად იცნობს სკოლის ხელმძღვანელობა და პედაგოგიური კოლექტივი სწავლებისა და აღზრდის ისტორიულ თუ თანამედროვე პრონციპებს. უდავო ჭეშმარიტებაა, რომ როგორიც არის ხელმძღვანელი, დიდწილად ისეთია მისი სკოლაც, ამიტომაც მე, როგორც საგანმანათლებლო ლიდერი და მენეჯერი განსაკუთრებული პასუხისმგებლობით ვეკიდები სკოლის დირექტორის სტანდარტის შესრულებას. მუდმივად ვცდილობ სკოლისა და პედაგოგების პროფესიულ განვითარებას, სასწავლო პროცესის წარმატებულად მართვას, მშობლებთან და საზოგადოებასთან პოზიტიურ ურთიერთობას. ხშირად, სხვადასხვა ტრადიციული თუ კრეატიული აქტივობებით ანგარიშს ვაბარებ საზოგადოებას.

ამჯერად, ჩვენი სკოლის საქმიანობა თამარობის დღესასწაულზე ჩატარებულ, უკვე ტრადიციად ქცეულ, ღია კარის დღეზე შევაჯამეთ.

მასშტაბურ ღონისძიებაზე მოწვეული გვყავდა საპატიო სტუმრები: **ლადო აფხაზავა** – მასწავლებლის გლობალური ჯილდოს ფინალისტი, ჩიბათის საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების მასწავლებელი; **მაია ტყემალაძე** – მასწავლებელთა ეროვნული ჯილდოს მფლობელთა ათეულის წევრი, ბრიტანეთის საბჭოს ტრენერი, ინგლისურად მოსაუბრე მასწავლებელთა საერთაშორისო კონკურსზე მსოფლიოს 90 მასწავლებელს შორის მეორე ადგილის მფლობელი; **მანანა კაპეტივაძე** – მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს მფლობელი, ბაღდათის მე-2 საჯარო სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელი; **ლალი უშვერიძე** – მასწავლებელთა სახლის ტრენერი, ღირსების ორდენის კავალერი, ქუთაისის №37 საჯარო სკოლის ისტორია-სამოქალაქო განათლების მასწავლებელი; **ლალი აბჟანდაძე** – ბაღდათის №2 საჯარო სკოლის დირექტორი; **ნანა კენჭოშვილი** – ქუთაისის №37 საჯარო სკოლის დირექტორი; **მამუკა იმნაიშვილი** – ჩიბათის საჯარო სკოლის დირექტორი; **იზა მორჩაძე** – ტყიბულის №5 საჯარო სკოლის დირექტორი; **ინგა მამაგეიშვილი** – ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ექიმ-თერაპევტი, ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი; ოტია იოსელიანის ვაჟი – **ბაჩო იოსელიანი**, ისტორიკოსი და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების დირექტორები და პედაგოგები.

სკოლაში დიდი ყურადღება ექცევა არაფორმალურ განათლებას, რომელიც მიზნად ისახავს ბავშვის უნარ-ჩვევების, კომპეტენციების, ღირებულებების განვითარებასა და ჩამოყალიბებას არაფორმალურ, ბუნებრივ გარემოში, სადაც მათ ვუქმნით მოტივაციას, იმოქმედონ და ისწავლონ საკუთარი ინტერესების მიხედვით. სწორედ ამ მიზნითაა სკოლაში დაფუძნებული სამოქალაქო კლუბი „ერთობა“, ეკო-კლუბი „ნიამორი“, წიგნის მოყვარულთა კლუბი „სწავლანი“, ინტელექტუალთა კლუბი „მეწინავე“, ინგლისური ენის კლუბი „ალბიონი“, პროფესიული უნარების ქვეპროგრამის ფარგლებში – თექის, კერვის და გობელენის დამზადების საწყისები. სწორედ ამ კლუბების თემატიკიდან გამომდინარე დაიგეგმა ღია კარის დღის აქტივობები.

პირველი გაკვეთილები დაიკავა **დაწყებითი საფეხურის კათედრამ**, კერძოდ, I^ა კლასში სამოდელო ინტეგრირებული გაკვეთილი (ქართული-ბუნება) თემაზე: იაკობ გოგებაშვილის „პეპელა და ფუტკარი“ ჩაატარა უფროსმა მასწავლებელმა, **იამზე წულუკიძემ**; I^ბ კლასში, თემაზე „სტრიქონი და სვეტი“ – წამყვანმა მასწავლებელმა, **მანანა წულაიამ**; საინფორმაციო ტექსტზე მუშაობის სამოდელო გაკვეთილი, II^ა კლასში, თემაზე „თამარის ლომი“ – უფროსმა მასწავლებელმა, **ლელა ჩირგაძემ;** IV^ბ კლასში, საგანში „მე და საზოგადოება“, თემაზე: „საქართველოს განძი და მისი მცველები“ – მასწავლებელმა **მადონა სულაქველიძემ**.

საბუნებისმეტყველო კათედრაც ენერგიულად ჩაება ღია კარის დღის აქტივობებში: X^ა კლასში ქიმიის მასწავლებელმა, **თათია ივანეიშვილმა** ჩაატარა სამოდელო გაკვეთილი თემაზე: „ნახშირბადი და მისი ნაერთები“; ლექცია-სემინარი სკოლის ეკოკლუბის წევრებთან, თემაზე: „რადიაციულ-ეკოლოგიური პრობლემები“ ჩაატარა **ინგა მამაგეიშვილმა.**

მესამე გაკვეთილზე ინგლისური ენის კლუბის „ალბიონი“ წევრებმა (ხელმძღვანელი – უფროსი მასწავლებელი **ლელა მანდარია**) უმასპინძლეს **მაია ტყემალაძეს,** რომელმაც მასტერკლასი ჩაატარა თემაზე: „საჯარო მეტყველების ხელოვნება“. კლუბის წევრები, IX-X კლასის მოსწავლეები, ქალბატონი მაიას მიერ შეთავაზებულ აქტივობებში ჩაერთნენ, შემდეგ კი წარმოადგინეს საერთაშორისო პროექტ Project „Speaker“-ის მოდელირება. ამავე გაკვეთილში აქტიურად ჩაერთო ბაღდათის სკოლის პედაგოგი **მანანა კაპეტივაძე**, მის მოსწავლეებთან ერთად.

ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრაც აქტიურობდა – მენტორმა მასწავლებელმა, **დოდო ხაჩიძემ** Xბ კლასში ჩაატარა სამოდელო გაკვეთილი ძალიან საინტერესო თემაზე: „რამდენიმე „შეუმჩნეველი“ პოლიტიკური ავანტიურა „ვეფხისტყაოსანში“.

შემდეგ სტუმრები დაესწრნენ, პროფესიული უნარების ქვეპროგრამის ფარგლებში, კერვის გაკვეთილს და თექის დამზადების საწყისების შესწავლა-დამუშავების პროცესებს (მასწავლებელი – **ნარგიზ შავგულიძე**), რაც ყველასთვის საინტერესო იყო, რადგან პრაქტიკული საქმიანობა პროგრამულ ჩარჩოს აფართოებს და მეწარმეობის უნარების განვითარებას უწყობს ხელს.

უდიდესი ინტერესი გამოიწვია **ლადო აფხაზავას** მასტერკლასმა მესამე საფეხურის მოსწავლეებთან, რომელიც სკოლის ფოიეში, საჯაროდ, ჩვენი სკოლის მოსწავლეთა და მოწვეულ

სტუმართა დასწრებით ჩატარდა. ეს იყო საუკეთესო მაგალითი არაფორმალური განათლებისა, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, გამოავლინონ თავიანთი შესაძლებლობების მაქსიმუმი, იაქტიურონ, რადგან შეცვლილი საჭიროებები და აჩქარებული დრო მოსწავლეებისთვის ახალ, მიმზიდველ შეთავაზებებს ითხოვს, ეს კი შეუძლებელია ფორმალური და არაფორმალური განათლების ინტეგრირების გარეშე.

საინტერესო დღის მშვენიერი დასასრული იყო სკოლის შიდა ეზოში, ღია ცის ქვეშ, III^ბ კლასში, მასწავლებლის, **ელისო მეტრეველის** მიერ ჩატარებული სამოდელო გაკვეთილი ქართულ ენასა და ლიტერატურაში, თემაზე: „თამარ-შვიდმნათობიერი“. მოსწავლეებმა, რომლებსაც სათანადო სამოსი ამკობდათ, წარმოადგინეს ინსცენირება, გააცოცხლეს თამარის მეფობის ერთი ლამაზი ეპიზოდი, წაიკითხეს ლექსები.

მოგვიანებით, სკოლის შიდა ეზოში, გაიხსნა მეგობრობის ხეივანი, სადაც დავრგეთ მარადმწვანე მცენარეები. შემდეგ სტუმრებმა გადაინაცვლეს სააქტო დარბაზში, სადაც წყალტუბოს საპატიო მოქალაქემ, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა, **ოქროპირ სვანაძემ** გამართა სკოლის წარმატებული ცხოვრების ამსახველი წიგნის პრეზენტაცია.

ღია კარის დღე სკოლის 2018-2019 სასწავლო წლის წარმატებული ცხოვრების ამსახველი ვიდეორგოლით შევაჯამეთ, მოწვეულ სტუმრებთან მემორანდუმი გავაფორმეთ და მათ სამახსოვრო საჩუქრები გადავეცით.

გვჯერა, რომ სწორედ ასეთ სკოლას შეუძლია აღზარდოს ტოლერანტი, კრიტიკულად მოაზროვნე, ეროვნული ღირებულებების მატარებელი, განათლებული, დიდი პასუხისმგებლობის მქონე, წარმატებულ ცხოვრებაზე ორიენტირებული მაღალზნეობრივი მოქალაქეები.

ფაქიზო ფანჩულიძე-კუჭავა
სსიპ ოტია იოსელიანის სახელობის ქალაქ წყალტუბოს №1 საჯარო სკოლის დირექტორი, მენტორი, მასწავლებელთა სახლის ტრენერი

სკოლა და მშობელი

მასწავლებლის როლი სახელმწიფოს განვითარების საქმეში

ლალი კირჩხელი
სსიპ ზვიად დავითაძის სახ. ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფ. შუაღელეს საჯარო სკოლის მათემატიკის წამყვანი მასწავლებელი

მოსწავლეთა აკადემიური დაბალი წარმატებები სხვადასხვა საგანში (განსაკუთრებით რეგიონული ცენტრიდან დაშორებულ სოფლის სკოლებში), ძირითადად, გამოწვეულია მოსწავლეთა და მათი მშობლების დაბალი მოტივაციით სწავლის მიმართ. ხშირად გვესმის „სწავლა რთული პროცესია... ყველას არ აქვს სწავლის უნარი...“

ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებით დასახული სასწავლო მიზნები გაცილებით იოლად მიიღწევა, როდესაც მშობელი სათანადოდაა ინფორმირებული სასწავლო პროცესისა და მიზნების შესახებ და პედაგოგი მას მოკავშირედ აღიქვამს. მხოლოდ სკოლის მცდელობა ნაყოფს არ გამოიღებს, თუ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას მშობელთა ჩართულობა ნაკლებად იკვეთება. ჩვენი სკოლის პრაქტიკაში მშობელთა აქტიურობა სემესტრის ბოლოს ვლინდება ხოლმე, როდესაც მოსწავლეთა შეფასება ხდება. აქედან გამომდინარე, მივედით იმ დასკვნამდე, რომ მშობელი ითხოვს შედეგს, მაგრამ ვერ ხედავს საკუთარ ვალდებულებებს შედეგთან მისასვლელად. არის აგრეთვე მშობელთა ისეთი კატეგორიაც, სახლში მუშაობს შვილთან, მაგრამ არ ათანხმებს სკოლის ინტერესებსა და მიზნებთან საკუთარ ინტერესებსა და მიზნებს, რის გამოც შედეგი არასახარბიელოა...

სკოლა ვალდებულია, გულისხმიერებით მოეკიდოს მშობლის პრეტენზიასა თუ წინადადებას. ხარისხიანი განათლების მნიშვნელობა მშობელს მეტნაკლებად კარგად ესმის, მაგრამ სასწავლო პროცესში თავისი როლის გაცნობიერება უჭირს.

ჩემი აზრით, აღნიშნული პრობლემის ერთადერთი მიზეზი მოსწავლეთა მშობლების სკოლისგან ,,დაშორება“ და მათი ინფორმირებულობის ნაკლებობაა და რაც მთავარია, ძირითადად, სწავლების მოძველებული მეთოდების გამოყენება პედაგოგთა მიერ...

ბევრი ვიფიქრე პრობლემის გადაჭრის გზებზე... გადავწყვიტე, დავკავშირებოდი მშობლებს, გამეცნო (ინდივიდუალურად) მათი შვილების წარმატებები და მათთან ერთად დამესახა ღონისძიებები მოსწავლეთა სწავლა/სწავლების ხარისხის ასამაღლებლად როგორც სასკოლო, ასევე კლასგარეშე მუშაობის დროსაც, დამერწმუნებინა მოსწავლეები და მშობლები, რომ მიუღწევადი არაფერია, მთავარია მონდომება...

მშობელთა ინფორმირებისთვის ორი გზა შევარჩიე: ერთი, მშობელთა ჯგუფებთან შეხვედრების ორგანიზება, სადაც მოზარდთა ასაკობრივი თავისებურებების შესახებ ვუტარებთ მინი-ლექციებს, ვაჩვენებთ სლაიდებს, მოგვყავს რეალური პრაქტიკული მაგალითები წარმატებულ პიროვნებათა შესახებ – ჩვენი სკოლის კურსდამთავრებულთაგან სამი ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერ თანამშრომელია, ხუთი წარმატებული სამხედრო ოფიცერია, ამათგან ერთი – ვახტანგ გორგასლის ორდენოსანი; მეც და ჩვენი სკოლის დირექტორიც ჩვენი სკოლის კურსდამთავრებულები ვართ, ჩვენი სკოლის წარმატებული პედაგოგები, ბიზნესმენები, შორეული ნაოსნობის მეზღვაურები და, რაც მთავარია, ჩვენი სკოლა ხომ ჩვენი კურსდამთავრებულის – ავღანეთში მშვიდობიანი მისიის შესრულებისას გმირულად დაღუპული ზვიად დავითაძის სახელს ატარებს!..

მეორე გზა ითვალისწინებს ინდივიდუალურ შეხვედრებს ცალკეულ მშობლებთან.

ინდივიდუალური შეხვედრებისთვის ან სკოლაში ვიწვევთ მშობელს, ან პედაგოგები თვითონ მივდივართ ოჯახში. გამოცდილებამ დაგვარწმუნა, რომ ბევრად უფრო შედეგიანია ოჯახში ვიზიტი. ფინჯან ყავაზე გულითად საუბარში ნდობის ფაქტორი მძლავრობს მუდამ. მშობელს ვესაუბრებით შვილის როგორც აკადემიურ წარმატება/წარუმატებლობაზე, ასევე მისი ჩართულობის ხარისხზე კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშობაში (ღონისძიებები, სანიტარიული დღეები, სპორტული შეჯიბრებები და ა.შ.). ყველა მოზარდს აქვს დადებითი მხარე, მშობლებთან საუბარს სწორედ დადებითი მხარით ვიწყებთ და თანდათან „შევაპარებთ“ ხოლმე ნაკლოვან მხარეზე. მშობელს აუცილებლად ვაძლევ საკუთარი პოზიციის გამოხატვის საშუალებას, ინფორმაციას ვიღებ მოსწავლის ოჯახური გარემოს შესახებ, რაც მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის დროს მეხმარება. აღნიშნული სახის შეხვედრა, ძირითადად, დადებით შედეგს მაძლევს.

განუზომელია მასწავლებლის, როგორც ფასილიტატორის მნიშვნელობა ზნეობრივად და მორალურად სრულყოფილი პიროვნების ჩამოყალიბების საქმეში. წარმატებული სასწავლო პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი მშობელსა და სკოლას შორის დამყარებული კეთილგანწყობაა, მასწავლებელი შუალედური რგოლია სკოლასა და ოჯახს შორის, მას შეუძლია მშობელი თავის მოკავშირედ და თანამშრომლად აქციოს, რადგან მასწავლებელსა და მშობელს ერთი მიზანი აქვთ – მოსწავლეთათვის საჭირო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება სწავლა/სწავლების, ხარისხიანი განათლების მიღების გზაზე!..

მოსწავლეებთან თანამშრომლობას ვიწყებ მათთვის საინტერესო საკითხების მიმართ ინტერესის გამოჩენით, გულახდილ საუბარში აყოლიებით, სხვადასხვა აქტივობებით გაჯერებული გაკვეთილებითა და ღონისძიებებით. ყოველი გაკვეთილის დაგეგმვისას, ვცდილობ თითოეული მოსწავლისთვის მისი ინდივიდუალური შესაძლებლობებიდან გამომდინარე მოვიფიქროთ დავალებები, საპრეზენტაციო თემები, დავგეგმო/მოვაწყო ლაშქრობები, ექსკურსიები, გასვლითი ღონისძიებები და ა.შ. ვცდილობ, ისე წარვმართო სასწავლო პროცესი, რომ თითოეულმა მოსწავლემ თავი სრულფასოვან ადამიანად იგრძნოს, გამოვხატავ ჩემს პატივისცემას მოსწავლეთა მიმართ, ვუსმენ და ვაგრძნობინებ, რომ მაინტერესებს მათი აზრი. ვეძებ იმ „მბრწყინავ წერტილს“, რომლითაც შეიძლება შევაქო და წავახალისო მოსწავლე. ქება ხომ მოტივაციის ამაღლების ერთ-ერთი საშუალებაა.

მოზარდის დაკვირვებული თვალი რენტგენის სხივის მსგავსად განჭვრეტს მასწავლებლის პიროვნებას, დამოკიდებულებას მოსწავლეთა სოციალური მდგომარეობისადმი, აკვირდება მის გარეგნობას, ჩაცმულობას, ლაპარაკის მანერას, მსჯელობის უნარს და თუ იპოვა ხინჯი, სწორედ ამ წერტილიდან იწყებს მასწავლებლის მიერ „ნაქსოვ“-ნალოლიავები ურთიერთობის შეუბრალებლად რღვევას... დაკარგული ნდობის აღდგენა იშვიათად ხდება და ამას გაცილებით დიდი ძალისხმევა დასჭირდება მასწავლებლის მხრიდან.

დაბოლოს, მოსწავლეები და მათი მშობლები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ თურმე შეუძლებელი არაფერია, მთავარია მოტივაცია, მონდომება, სიახლეების ძიება და დანერგვა სწავლებაში და შედეგიც არ დაიგვიანებს.

გამოყენებული ლიტერატურა:
1. G-Pried - დაწყებითი განათლების პროექტი – სატრენინგო მასალა;
2. მშობელთა ჩართულობა – http://kargiskola.ge/;
*3. სკოლა და მშობლები – **სალომე გორგოძე** სტატიები/განათლება;*
4. პირადი გამოცდილება.

სამოდელო გაკვეთილი

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება

გაკვეთილის ტიპი	**სამოდელო-პრობლემაზე ორიენტირებული გაკვეთილი**
შესავალი	პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება მოსწავლეს ასწავლის პრობლემის იდენტიფიცირებას, მისი გადაჭრის გზების ძიებას და მიღებული გამოცდილების რეალურ ცხოვრებაში გამოყენებას. პრობლემის გადაჭრა ეფუძნება იმ ცოდნას, რომელიც მოსწავლეს უკვე აქვს, მაგრამ ამასთანავე აუცილებელია სხვადასხვა შინაარსისა და ცნების ერთმანეთთან დაკავშირება. მოსწავლეს უყალიბდება ცოდნის ტრანსფერი, პრობლემის გადაჭრის და კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევები.
საგანი	ქართული ენა და ლიტერატურა
კლასი	დაწყებითი, II კლასი
თემა	წყლის დაბინძურება, ანეტა კაპანაძის მოთხრობის „სველი წერილის“ მიხედვით
დრო	40 წუთი
მოსწავლეთა რაოდენობა	5 მოსწავლე. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე არ არის
მასწავლებელი	სვეტლანა ქათამაძე
გაკვეთილის მნიშვნელობა/ აქტუალობა	მოსწავლეები გამოავლენენ, გაიაზრებენ და გააცნობიერებენ წყლის დაბინძურებით გამოწვეულ პრობლემებს, რის შემდეგაც იწყებენ პრობლემის გადაჭრის გზების ძიებას და იღებენ გადაწყვეტილებას; ემპათიის გრძნობა გაუჩნდებათ ადამიანთა დაუდევრობითა და გულგრილობით გამოწვეული წყლის დაბინძურების გამო.
გაკვეთილის მიზანი	მოსწავლეებმა შეძლონ: • წაკითხული ტექსტის გაგება-გააზრება; • მოწოდებული ინფორმაციის, ილუსტრაციების და ტექსტის ურთიერთდაკავშირება; • წყლის დაბინძურებით გამოწვეული პრობლემების დასახელება; • პრობლემის გადაჭრის გზების ძიება და გადაწყვეტილების მიღება; • პრობლემის გათავისება და ემპათიის გრძნობის გაჩენა.
გაკვეთილის ამოცანები/ სწავლის შედეგები	მოსწავლე შეძლებს: • ნაწარმოების თემის, იდეის განსაზღვრას და სიღრმისეულ წვდომას; • პრობლემის იდენტიფიცირებას და გადაჭრის გზების მოძებნას; • საკუთარი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას და შედეგზე მსჯელობას; • გამოუმუშავდება დამოუკიდებლად მუშაობის, გამოსავლის პოვნის და გზების ძიების უნარი.
ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტი	**ქართ.დაწყ.(II).7. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვა და გაგება-გააზრება; ტექსტში ვერბალური და არავერბალური ფორმით მოწოდებული ინფორმაციის (ილუსტრაციის და ტექსტის) ურთიერთადაკავშირება.** • ამოკრებს კონკრეტულ ინფორმაციას. **ქართ.დაწყ.(II).9. მოსწავლემ უნდა შეძლოს წაკითხული ტექსტის მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა.** • გამოხატავს თავის დამოკიდებულებას ნაწარმოებში გადმოცემული მოვლენისადმი. **ბუნ.დაწყ.(II).9. მოსწავლემ უნდა შეძლოს გარემოსადმი საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა.** • აკვირდება ლოკალურ გარემოს, საუბრობს ადამიანის მიზეზით გამოწვეულ ცვლილებებზე; • გამოთქვამს მოსაზრებას გარემოს გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, სახავს მისი განხორციელების გზებს.
მოსწავლეთა წინარე ცოდნა	მოსწავლეები კითხულობენ მცირე ზომის ტექსტებს; იციან, თუ როგორ ცვლის ადამიანი გარემოს; შეუძლიათ მიმზიდველი და არამიმზიდველი გარემოს ერთმანეთისგან გარჩევა-დასაბუთება; იციან ჯგუფში მუშაობის წესები.
გაკვეთილზე გამოყენებული მეთოდები	„ვერბალური კომუნიკაცია“; „კითხვა-პასუხი“; „მისწერე წერილი“; „გონებრივი იერიში“; „მინი-დისკუსია“; „ჯგუფური მუშაობა“; „პრეზენტაცია“.
გაკვეთილის მსვლელობა/ საკლასო მენეჯმენტი	**A ფაზა – გამოწვევა** **მეთოდი –** ვერბალური კომუნიკაცია **აქტივობა 1 – შესავალი საუბარი** **მოსწავლეთა ორგანიზება –** მთელი კლასი **მიზანი –** გაკვეთილის თემისა და მიზნის, შეფასების კრიტერიუმების გაცნობა **დრო –** 3 წუთი **აღწერა –** მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს გაკვეთილის თემასა და მიზანს. დაფაზე აკრავს შეფასების რუბრიკას და კითხულობსს შეფასების კრიტერიუმებს. შეახსენებს ქცევის წესებს. **მეთოდი –** „მისწერე წერილი“ **აქტივობა 2 – საშინაო დავალების პრეზენტაცია** **მოსწავლეთა ორგანიზება –** მთელი კლასი **მიზანი –** მოსწავლეთა წინარე ცოდნის გააქტიურება **დრო –** 10 წუთი **აღწერა –** მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეებს: ჩვენ შევისწავლეთ ანეტა კაპანაძის მოთხრობა „სველი წერილი“. მოდით, კიდევ ერთხელ ნავიკითხოთ და გავიხსენოთ ნაწარმოებში წამოჭრილი პრობლემა. ნაწარმოების წაკითხვის შემდეგ, მასწავლებელი სვამს მაპროვოცირებელ კითხვას: როგორ გგონიათ, სხვა ზღვა სუფთა იქნება? პასუხების შემდეგ, მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს წარმოადგინონ საშინაო დავალება. მათ უნდა დაემზადებინათ კონვერტი და მიეწერათ წერილი: 1) ვეშაპისთვის, თუ რას ეტყოდნენ, როგორ დაიმედებდნენ მას, ან 2) ადამიანებისთვის, თუ როგორ უნდა დაიცვან წყალი დაბინძურებისგან. მოსწავლეები რიგ-რიგობით გამოდიან დაფასთან კონვერტებით და აკეთებენ პრეზენტაციას. აქტივობის დასრულებისას, მასწავლებლის შეფასება-კომენტარი. **B ფაზა – ცოდნის კონსტრუირება** **აქტივობა 3: გონებრივი იერიში** **მოსწავლეთა ორგანიზება –** მთელი კლასი **მიზანი –** მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება, ინფორმაციის თავმოყრა **დრო –** 5 წუთი **აღწერა –** მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს მის მიერ შექმნილ სლაიდს „წყლის დაბინძურება“ (დანართი №1). შემდეგ სთხოვს მოსწავლეებს, ჩამოთვალონ წყლის დაბინძურებით გამოწვეული პრობლემები (მათ მიერ ჩამოთვლილ პრობლემებს წერს დაფაზე გაკრულ ფორმატზე). აქტივობის დასრულებისას – მასწავლებლის შეფასება-კომენტარი. **აქტივობა 4 – მუსიკალური წუთშესვენება-ფიზიკური განტვირთვა** **მოსწავლეთა ორგანიზება –** მთელი კლასი **მიზანი** – ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება **დრო –** 2 წუთი **აღწერა** – მოსწავლეები, მუსიკის ფონზე, მოძრაობენ, ვარჯიშობენ (დანართი №2).
გაკვეთილის მსვლელობა/ საკლასო მენეჯმენტი	**აქტივობა 5 – მინი-დისკუსია და დისკუსიის ცხრილის შევსება** **მოსწავლეთა ორგანიზება –** მთელი კლასი **მიზანი –** პრობლემის გადაჭრის გზების ძიება და გადაწყვეტილების მიღება **დრო –** 8 წუთი **აღწერა –** მასწავლებელი მართავს მინი-დისკუსიას კითხვაზე – „როგორ გესახებათ აღნიშნული პრობლემის გადაჭრის გზები, ანუ როგორ დავიცვათ წყალი დაბინძურებისაგან?“ მოსწავლეები მსჯელობენ არსებული საკითხის ირგვლივ და გვთავაზობენ ალტერნატიულ გზებს (მასწავლებელი მოსწავლეების მიერ ჩამოთვლილ პრობლემის გადაჭრის გზებს წერს დაფაზე გაკრულ ფორმატზე), შემდეგ მოსწავლეებს ურიგებს ცხრილს და სთხოვს, შეავსონ (პლუს ნიშნით), პასუხისმგებლობის ხარისხის განსაზღვრის მიზნით, ვის უფრო მეტ პასუხისმგებლობას ანიჭებენ – სამოქალაქო საზოგადოებას (ასაკიდან გამომდინარე, რადგან 7 წლისანი არიან, ვუხსნი, რომ ე.ი. ადამიანებს) თუ სახელმწიფოს (დანართი №3). აქტივობის დასრულებისას, მასწავლებლის შეფასება-კომენტარი. **აქტივობა 6. „ფოტოპრობლემა“, „რას გვეუბნება ეს კომიქსები?“** **მოსწავლეთა ორგანიზება –** ჯგუფური **მიზანი –** პრობლემის გათავისება და ემპათიის გრძნობის გაჩენა **დრო –** 10 წუთი **აღწერა –** კლასი დაყოფილია ორ ჯგუფად. მასწავლებელი ურიგებს ორ-ორ ფოტოსურათს და აძლევს ინსტრუქციას, დააკვირდნენ და იმსჯელონ რას გვეუბნება, რაზე მიგვანიშნებს ეს კომიქსები (დანართი №4). მასწავლებელი, ასევე, უთითებს სამუშაოსთვის განკუთვნილ დროს. დროის ამოწურვის შემდეგ, მოსწავლეები გამოდიან დაფასთან, გაიკვრება ფოტოები და აკეთებენ პრეზენტაციას. აქტივობის დასრულებისას, მასწავლებელი კომენტარებით აფასებს მოსწავლეებს, ჯგუფური მუშაობით და წარმოდგენილი პრეზენტაციებით. ჯგუფური მუშაობა მიმდინარეობს მუსიკის ფონზე (დანართი №5). **C ფაზა – რეფლექსია** **აქტივობა 7. დავალების მიცემა, შეფასების რუბრიკებით შეფასება** **მოსწავლეთა ორგანიზება –** მთელი კლასი **მიზანი –** ნათელი გახდეს დასახული მიზნის მიღწევა **დრო –** 2 წუთი **აღწერა –** სახლში დავალებად: დახატონ გარემოს დაბინძურების ამკრძალავი პლაკატები. მასწავლებელი მოსწავლეებს შეფასების რუბრიკების მიხედვით აფასებს, რომელიც ამ გაკვეთილისთვის გაამზადა (დანართი №6). გაკვეთილი მთავრდება მუსიკის ფონზე.
კლასის ორგანიზება	მუშაობა მთელ კლასთან, ინდივიდუალური და ჯგუფური.
შეფასება და თვითშეფასება	გაკვეთილზე გამოყენებული იქნება განმავითარებელი შეფასება. შეფასება მოხდება თითოეული აქტივობის განხორციელების შემდეგ კომენტარებით, მოსწავლეთა მიერ შესრულებული საკლასო დავალებების მიხედვით; შეფასების რუბრიკები.
სასწავლო მასალა და რესურსები	სახელმძღვანელოები: „ქართული ენა და ლიტერატურა“, ი. იაშვილი, ლ. ქისტაური; „ბუნება“, გ. კვანტალიანი; ფლიფჩარტის ფურცლები, მარკერები, კომპიუტერი, პროგრამები – Word, PowerPoint, ვიდეოები.

დანართი №1 **დანართი №2**

დანართი №3 **დანართი №4** **დანართი №5**

დანართი №6

შეფასების რუბრიკა

კრიტერიუმები	**კარგად**	**საშუალოდ**	**უჭირს**
კითხულობს ტექსტს			
პასუხობს კითხვებზე			
მუშაობს ინდივიდუალურად			
მონაწილეობს დისკუსიაში			
მუშაობს ჯგუფში			
აკეთებს პრეზენტაციას			

პრეზენტაციის შეფასების რუბრიკა

კრიტერიუმები	**დიახ**	**არა**	**ზოგჯერ**
ასახელებს წყლის დაბინძურებით გამოწვეულ პრობლემებს			
ეძებს პრობლემის გადაჭრის გზებს			
გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას დაბინძურებული წყლისადმი			
აცნობიერებს სუფთა წყლის აუცილებლობას ცოცხალი ორგანიზმებისათვის			

რეფლექსია

2019 წლის 1 მაისს, ქართულ ენასა და ლიტერატურაში, მე-2 კლასში, ჩავატარე პრობლემაზე ორიენტირებული სამოდელო გაკვეთილი. თემად ავირჩიე წყლის დაბინძურება, ანეტა კაპანაძის მოთხრობის „სველი წერილი“ მიხედვით. გაკვეთილი დავგეგმე და წარვმართე ეროვნული სასწავლო გეგმის მისაღწევი შედეგების გათვალისწინებით. გაკვეთილის თემა, მიზანი, შედეგები ურთიერთშესაბამისობაში იყო.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება მოსწავლეს ასწავლის პრობლემის იდენტიფიცირებას, მისი გადაჭრის გზების ძიებას და მიღებული გამოცდილების რეალურ ცხოვრებაში გამოყენებას.

ჩემი გაკვეთილის მიზანი იყო: მოსწავლეებმა შეძლონ წაკითხული ტექსტის გაგება-გააზრება; მოწოდებული ინფორმაციის, ილუსტრაციების და ტექსტის ურთიერთდაკავშირება; წყლის დაბინძურებით გამოწვეული პრობლემების დასახელება; პრობლემის გადაჭრის გზების ძიება და გადაწყვეტილების მიღება; პრობლემის გათავისება და ემპათიის გრძნობის გაჩენა.

ვიტყვი, რომ მოსწავლეთა წინარე ცოდნის გააქტიურება მნიშვნელოვანია გაკვეთილის მიზანმიმართულად წარმართვისათვის. მოტივაციის ასამაღლებლად, ინფორმაციის თავმოსაყრელად კლასს ვუჩვენე ჩემ მიერ შექმნილი სლაიდი „წყლის დაბინძურება“.

გაკვეთილის ძლიერ მხარედ მიმაჩნია: ა) გონებრივი იერიშის მეთოდის გამოყენება, რამაც მოსწავლეებს გაუადვილა პრობლემის არსში წვდომა; ბ) მინი-დისკუსია, რაც მოსწავლეებს პრობლემის გადაჭრის გზების ძიებასა და გადაწყვეტილების მიღებაში დაეხმარა; გ) ჯგუფური მუშაობისას, „ფოტოპრობლემა-კომიქსების“ ჩვენებით, მოსწავლეებმა პრობლემები გაითავისეს და გაუჩნდათ ემპათიის გრძნობა წყლის ბინადრების მიმართ. თვალნათლივ დაინახეს საფრთხეები, რომლებიც შეიძლება მოჰყვეს ადამიანების დაუდევრობასა და გაუფრთხილებლობას.

ჩატარებული გაკვეთილის მიხედვით შემიძლია ვთქვა, რომ მიზნები მიღწეულია. მოსწავლეებმა იმსჯელეს და გააცნობიერეს წყლის დაბინძურებით გამოწვეული საფრთხეები და შემოგვთავაზეს პრობლემის გადაჭრის გზები. გაკვეთილის მსვლელობით კმაყოფილი დავრჩი. ერთი მხრივ, მოსწავლეებმა გაამართლეს ჩემი მოლოდინები, მეორე მხრივ, გაკვეთილის მიზნების მიღწევას სწორად დაგეგმილი აქტივობების ეფექტურად წარმართვამ შეუწყო ხელი. ეფექტურად გამოვიყენე საგაკვეთილო რესურსებიც, რომლებიც არც ზედმეტად იყო გადატ-

სამოდელო გაკვეთილი

ვირთული და არც ნაკლებობა იგრძნობოდა. კარგად იმუშავა სლაიდებმა, ვიდეოებმა. საერთო ჯამში, ყველა მოსწავლე აქტიურად იყო გაკვეთილში ჩართული და, თავიანთი შესაძლებლობის ფარგლებში, მაქსიმალური შედეგები აჩვენეს.

გაკვეთილის გეგმაში არაფერი არ შემიცვლია, თუ არ ჩავთვლი იმას, რომ წყლის დაბინძურებით გამოწვეული პრობლემები და მათი გადაჭრის გზები დაფაზე გაკრულ ფორმატზე ჩამოწერეს მოსწავლეებმა და არა მე, როგორც გეგმაში მეწერა, რასაც უფრო მეტი დრო დასჭირდა. ამის გამო, გაკვეთილის მესამე, შემაჯამებელ ფაზაში, ძლივს ჩავეტიე დროში. სხვა პრობლემა გაკვეთილზე არ შემქმნია.

მომავალში, მსგავსი ტიპის გაკვეთილის მომზადებისას, გავითვალისწინებ ამ გამოცდილებას, რითაც ერთ ხარვეზს ავიცილებ – მოსწავლეებს უფრო მარტივ, მოკლე, კონკრეტულ წინადადებებს დავაწერინებ.

ჩემი აზრით, ჩატარებული გაკვეთილი სარგებლის მომტანი იქნება დამსწრე კოლეგებისთვის, აქტივობების მრავალფეროვნებითა და შერჩეული თემატიკით, რადგანაც ეს უკანასკნელი აქტუალობას არ კარგავს. ასევე, მათ ნახეს, როგორ უნდა მოვახერხოთ სწავლის მოტივაციის ამაღლება და ყველა მოსწავლის ჩართვა აქტივობებში, დროის ფაქტორის მაქსიმალურად გამოყენება, ასევე, როგორ მივაჩვიოთ ბავშვები განსაზღვრულ დროში მუშაობას და როგორ გავხადოთ სწავლა საინტერესო. ვფიქრობ, მათ გამოადგებათ ჩემ მიერ შექმნილი რესურსიც.

დასკვნის სახით აღვნიშნავ, რომ პრობლემაზე ორიენტირებული სამოდელო გაკვეთილზე მუშაობის დროს მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული თითოეული მოსწავლის პოტენციალი, რაც მათ საშუალებას მისცემს, გამოავლინონ ახალ-ახალი, განსხვავებული დამოკიდებულებები პრობლემის გადასაჭრელად.

სვეტლანა ქათამაძე
თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელი

მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების სტრატეგია

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა არის მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების სტრატეგია. ასეთი ტიპის სწავლების დროს მოსწავლეები, რეალური ცხოვრებისეული პრობლემების კვლევის გზით, იძენენ მნიშვნელოვან გამოცდილებას, რომელიც მათ მთელი ცხოვრების მანძილზე გამოადგებათ წარმატებების მიღწევაში. პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება აქტიური, პრობლემაზე დაფუძნებული და კოლაბორაციული ცოდნის აგებას ემყარება.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის პროცესი მოსწავლეს აქტიური შემმეცნებლის როლში აყენებს, რომელსაც წამოჭრილ პრობლემებთან გამკლავება უხდება, კერძოდ, მოსწავლე ისეთ პრობლემას აწყდება, რომლის გადაჭრაც უჭირს მხოლოდ იმ ცოდნით, რომელიც აქვს. ამ მიზნით, იგი არკვევს, თუ რა უნდა იცოდეს დასმული პრობლემის უკეთ გასაგებად. ამ პროცესში მოსწავლე აქტიურია, მიმართავს თვითგანათლებას, ეძებს საჭირო ინფორმაციას.

სასურველია, ამ ტიპის გაკვეთილების ჩატარება დაწყებითი კლასიდან დავიწყოთ და მოსწავლეებს ის უნარ-ჩვევები განვუვითაროთ, რომლებიც მათ პრობლემებთან, წამოჭრილ საკითხებთან გამკლავებაში დაეხმარებათ. გთავაზობთ ჩემ მიერ პირველ კლასში ჩატარებული გაკვეთილის გეგმას.

მასწავლებლის სახელი, გვარი: თამარ მგალობლიშვილი
საგანი: ბუნება
სწავლების საფეხური: დაწყებითი საფეხური I /4 კლასი
მოსწავლეთა რაოდენობა: 27. სსსმ მოსწავლე კლასში არ ირიცხება.
გაკვეთილის თემა: ჯანმრთელობა
გაკვეთილის მიზნები:

- მოსწავლეებმა იმსჯელონ ჯანსაღი ცხოვრების წესის მნიშვნელობაზე, დასახული პრობლემის გამომწვევ მიზეზებზე, შედეგებსა და გადაჭრის გზებზე.
- მოსწავლეებს განუვითარდეთ საკუთარი მოსაზრების გამოხატვისა და არგუმენტირების უნარები.

№	აქტივობის აღწერა	გამოყენებული მეთოდი/ მეთოდები	კლასის ორგანიზების ფორმა/ ფორმები	სასწავლო რესურსები/ რესურსის მიზანი	დრო (წთ)
1	**აქტივობის მიზანი:** ინფორმაციის მიწოდება **აქტივობის აღწერა:** მოსწავლეებს ვაცნობ გაკვეთილის თემას, მიზანს, შეფასების რუბრიკებს (დანართი1), რომლებიც გამოკრული იქნება თვალსაჩინო ადგილზე. ვუხსნი ორგანიზების რა ფორმები და სასწავლო რესურსები იქნება გამოყენებული გაკვეთილზე. შევახსენებ გაკვეთილზე ქცევის წესებს, რომლებიც ასევე გამოკრულია დაფაზე. ყოველი აქტივობის შემდეგ, მოსწავლეები მიიღებენ უკუკავშირს.	ვერბალური მეთოდი	მთელი კლასი	დაფა, ფლიპ-ჩარტი, მარკერი ფლიპჩარტზე დაწერილი გაკვეთილის თემა, მიზანი, შეფასების რუბრიკები. **შეფასების რუბრიკების საშუალებით** ეცოდინებათ, რის მიხედვით შეფასდებიან.	2წთ
2	**აქტივობის მიზანი**: მოსწავლეებმა შეძლონ ვარაუდების გამოთქმა **აქტივობის აღწერა**: გაკვეთილზე გამოვიყენებ სლაიდს https://ru.calameo.com/read/004319189bc39ee6dc5ca ანიმაციური ბიჭების გარეგნობის მიხედვით, მოსწავლეები უპასუხებენ კითხვებზე: რომელ მათგანზე იტყვიან ჯანმრთელიაო? (დაასაბუთებენ საკუთარ მოსაზრებას) რით არის გამოწვეული მისი მდგომარეობა? რატომ ფიქრობთ ასე?	კითხვა-პასუხი	მთელი კლასი	კომპიუტერი, პროექტორი, სლაიდი **რესურსის მიზანი:** რესურსი გაუადვილებს მოსწავლეებს არგუმენტირებული პასუხის ჩამოყალიბებას.	3წთ
3	**აქტივობის მიზანი**: წინარე ცოდნის გააქტიურება **აქტივობის აღწერა**: მოსწავლეებს ვთხოვ, გაიხსენონ რა იციან ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ.	კითხვა-პასუხი	მთელი კლასი		2წთ
4	**გაკვეთილის მიზანი**: შინაარსის რეალიზება **აქტივობის აღწერა**: მათი მოსაზრებების მოსმენის შემდეგ, ვესაუბრები ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ (ამ ეტაპზე, ყურადღებას ვამახვილებ მხოლოდ ვარჯიშზე, ჯანსაღ კვებასა და სუფთა ჰაერზე ყოფნაზე), ცხოვრებისეულ მაგალითებზე დაყრდნობით, მოსწავლეებისთვის გასაგებ ენაზე, ვესაუბრები ვარჯიშის, ჯანსაღი კვებისა და სუფთა ჰაერზე ყოფნის მნიშვნელობაზე.	ვერბალური მეთოდი	მთელი კლასი	კომპიუტერი, პროექტორი, სლაიდი **რესურსის მიზანი:** რესურსი ეხმარება მოსწავლეებს ინფორმაციის ორგანიზებაში.	7წთ
5	**აქტივობის მიზანი**: მოსწავლემ შეძლოს საკითხის გააზრება **აქტივობის აღწერა**: საკითხის უკეთ გააზრებისთვის ვსვამ კითხვებს: გინდა იყო ჯანმრთელი? რას აკეთებ ამისთვის? ✔*ვარჯიშობ?* ✔*უარს ამბობ მავნე პროდუქტებზე?* ✔*მიირთმევ ბოსტნეულს და ხილს?* ✔*უფრო მეტ დროს სად ატარებ – სახლში თუ სუფთა ჰაერზე?*	კითხვა-პასუხი	მთელი კლასი	კომპიუტერი, პროექტორი, სლაიდი **რესურსის მიზანი:** სლაიდზე გამოსახული სურათები ეხმარება მოსწავლეებს კითხვების გაგებაში.	5წთ
6	**აქტივობის მიზანი**: მაღალი სააზროვნო უნარების განვითარება **აქტივობის აღწერა**: მოსწავლეებს დავუსახავ პრობლემას (ადამიანებმა იციან, რომ აუცილებელია ცხოვრების ჯანსაღი წესების დაცვა, მაგრამ არ იცავენ), ვთხოვ, დაასახელონ გამომწვევი მიზეზები, იმსჯელონ შედეგებზე და როგორ შეიძლება გადაიჭრას პრობლემები. მათ მოსაზრებებს დავწერ დაფაზე. უკუკავშირი.	სოკრატესეული მეთოდი	მთელი კლასი	დაფა, მარკერი, ცხრილი (დანართი 2) **რესურსის მიზანი:** ცხრილის შევსება დასახული მიზნის მიღწევას გაუადვილებს.	8წთ
7	**აქტივობის მიზანი**: რეფლექსია **აქტივობის აღწერა**: ვთხოვ, დარიგებული სლოგანებიდან, მეწყვილესთან ერთად, აარჩიონ ისეთი, რომელიც ხელს შეუწყობს ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას.	ვერბალური მეთოდი	წყვილებში	სლოგანები გაიხსენებენ ჯანსაღი ცხოვრების წესებს.	3წთ
8	**აქტივობის მიზანი**: მოსწავლეებმა გააზრონ თავიანთი მიღწევები გაკვეთილზე და დაფიქრდნენ საჭიროებაზე. **აქტივობის აღწერა**: მოსწავლეთა ჩართულობით გაკვეთილის შეჯამება/შეფასება. ვთხოვ მოსწავლეებს, ისაუბრონ – რა გაიგეს? რა ისწავლეს და როგორ გამოიყენებენ მიღებულ ცოდნას ცხოვრებაში? მოსწავლეები იღებენ განმავითარებელ შეფასებას.	კითხვა-პასუხი	მთელ კლასთან	შეფასების რუბრიკები	5წთ

გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი შედეგები:

- მოსწავლეები შეძლებენ იმსჯელონ ჯანსაღი ცხოვრების წესის მნიშვნელობაზე, დასახული პრობლემის გამომწვევ მიზეზებზე, შედეგებსა და გადაჭრის გზებზე.
- მოსწავლეებს განუვითარდებათ საკუთარი მოსაზრების გამოხატვისა და არგუმენტირების უნარები.

ბუნ.I.1. მოსწავლემ უნდა შეძლოს პრაქტიკულ აქტივობებში მონაწილეობა და ელემენტარული კვლევითი უნარ-ჩვევების დემონსტრირება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ეფუძნება პირად მოსაზრებებს ან/და დაკვირვების შედეგებს დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად;
- იყენებს კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმას (მაგ. ნახატი, ზეპირმეტყველება, ისტ) საკუთარი მოსაზრებების ან/და კვლევის შედეგების წარდგენისას.

შეფასება: მოსწავლეთა დაკვირვების საფუძველზე, ვაძლევ განმავითარებელ სიტყვიერ კომენტარს – რამდენად შეძლებს დასახული პრობლემის გამომწვევ მიზეზებზე, შედეგებსა და გადაჭრის გზებზე არგუმენტირებულ მსჯელობას.

შეფასების რუბრიკა

დანართი 1

კრიტერიუმები	მაღალი	საშუალო	გასაუმჯობესებელი
შეუძლია საკუთარი მოსაზრების მკაფიოდ გამოხატვა.	მკაფიოდ და გასაგებად აყალიბებს საკუთარ მოსაზრებას.	საჭიროებს დახმარებას საკუთარი მოსაზრების გადმოსაცემად.	უჭირს აზრის გადმოცემა.
მსჯელობს არგუმენტირებულად.	თავისუფლად მსჯელობს არგუმენტირებულად.	საჭიროებს დახმარებას არგუმენტების მოშველიებისას.	უჭირს არგუმენტირებული მსჯელობა.

დანართი 2

პრობლემა	გამომწვევი მიზეზები	შედეგები	პრობლემის გადაჭრის გზები

რეფლექსია

პრობლემაზე ორიენტირებული გაკვეთილის ჩატარება განაპირობა საკითხის აქტუალობამ. მედიასაშუალებებში ხშირად შუქდება, რომ საქართველოში, ბავშვებში, იმატა სხვადასხვა სახის დაავადებებმა, რაც განპირობებულია ცხოვრების ჯანსაღი წესის არცოდნით. ბავშვები ხშირად იკვებებიან სწრაფი კვების ობიექტებში და დიდ დროს ატარებენ კომპიუტერთან. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება განსაკუთრებით ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას, უვითარებს კრიტიკულ აზროვნებასა და იმ უნარ-ჩვევებს, რომლებიც საჭიროა პრობლემის გადასაჭრელად.

ჩემმა კოლეგებმა დაინახეს, რამდენად ეფექტურია მოსწავლეებისთვის მასალის პრეზენტაციის სახით მიწოდება (სლაიდით), მათი დაინტერესება თვალსაჩინოების მრავალფეროვნებით ახალი მასალის ახსნის პროცესში და ამით მათთვის გაგება-გააზრების გაადვილება. ხალისით მუშაობენ მოსწავლეები ცხრილზე (პრობლემა, გამომწვევი მიზეზები, შედეგები და გადაჭრის გზები), რასაც დასახულ მიზნამდე მიჰყავს გაკვეთილი – მოსწავლეებმა მიიღეს ინფორმაცია ჯასაღი ცხოვრების წესის შესახებ.

გაკვეთილზე ესგ-თი გათვალისწინებული ყველა მიზანი მიღწეული იყო.

ჩემთვის და ჩემი კოლეგებისთვის, ამ ტიპის გაკვეთილის ჩატარებით, პრობლემებზე ორიენტირებული სწავლება უფრო ეფექტური და შედეგიანი იქნება, რადგან დაგეგმილი აქტივობები დეტალურად აძლევს მოსწავლეს პრობლემის გააზრების, გაანალიზების და მისი გადაჭრის გზების პოვნის საშუალებას. გაკვეთილის მიზნის მიღწევა ეფექტური იქნება და მოსწავლეებისთვის – სახალისო, რაც მნიშვნელოვანია მასწავლებლისთვის.

ყველა აქტივობა გეგმის მიხედვით წარიმართა, გეგმაში რაიმე ცვლილების შეტანა არ გახდა საჭირო.

ყველაზე წარმატებულად შეიძლება ჩაითვალოს გაკვეთილის პირველი და მეორე ეტაპი. გამოწვევის ფაზამ დადებითი მუხტი შეიტანა გაკვეთილის წარმართვაში, ანიმაციების დანახვამ ძალიან გაახალისა კლასი. ასევე როდესაც მოსწავლეები მუშაობდნენ ცხრილის შევსებაზე, ღიად და თავისუფლად აფიქსირებდნენ თავიანთ მოსაზრებებს. ამ აქტივობაში თითქმის ყველა მოსწავლე იყო ჩართული, რაც ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო.

მომავლისთვის ხშირად მივმართავ აღნიშნულ მეთოდებსა და აქტივობებს, რადგან ნათლად დავინახე მათი ეფექტურობა.

თამარ მგალობლიშვილი
სსიპ გოგიტა კიკნაძის სახელობის თბილისის №182 საჯარო სკოლის დაწყებითი კლასის პედაგოგი

პროექტით სწავლება

გუნდური უნარ-ჩვევების განვითარებისთვის

ჩოხატაურის №1 საჯარო სკოლაში, მე-8 კლასელებთან ერთად, განვახორციელე პროექტი „ჩვენი სკოლის ისტორია“.

პროექტის მთავარი მიზანი: მოსწავლეთა მოტივაციის, პასუხისმგებლობისა და თვითშეფასების ამაღლება, მშობლიური სკოლისადმი სათანადო დამოკიდებულების – პატივისცემისა და სიამაყის გრძნობის გაღვივება.

სასწავლო მიზნები:

- მოსწავლეებმა შეძლონ არსებული ცოდნის ტრანსფერი;
- გაიმდიდრონ ლექსიკური მარაგი;
- გუნდური უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობა, გუნდის წინაშე პირადი პასუხისმგებლობის ამაღლება;
- კვლევა-ძიების, ინფორმაციის მოპოვება-დამუშავება-დახარისხების, ინტერვიუს მეთოდის გამოყენების უნარის განვითარების ხელშეწყობა;
- პრეზენტაციის უნარ-ჩვევის განვითარების ხელშეწყობა;
- რესურსების, მათ შორის ადამიანურის, შესაბამისად შერჩევა-გამოყენება;
- სკოლის ისტორიის ამსახველი საინფორმაციო ბუკლეტის მომზადება.

პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობებიდან, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გახლდათ სამოდელო გაკვეთილი რუსულ ენაში – „ჩვენი სკოლა“. მინდა, კოლეგებს გავუზიარო გამოცდილება, თუ როგორ შეიძლება დავგეგმოთ ასეთი გაკვეთილი.

გაკვეთილის გეგმა

მასწავლებლის სახელი, გვარი: ქეთევან კუბლაშვილი
საგანი: რუსული ენა
სწავლების საფეხური/კლასი: მე-3 საფეხური, მე-8 კლასი, სწავლების მე-3 წელი
მოსწავლეთა რაოდენობა: 20
გაკვეთილის თემა: ჩემი სკოლა
გასავითარებელი კომპეტენციები: წიგნიერება, სემიოტიკური კომპეტენციები
გაკვეთილის მიზანი: მოსწავლის საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობა.
მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- ინფორმაციის წაკითხვა, გაგება-გააზრება;
- დიალოგური მეტყველების გაგება, გამოყენება;
- არსებული გრამატიკული ცოდნის გააქტიურება-კითხვითი სიტყვის ,,როგორი“ შესაბამის ბრუნვებში გამოყენება;
- შესაბამისობების დადგენა და ტექსტის გამთლიანება-წარდგენა;
- შეფასება – დავალებაზე მუშაობის პროცესის შეფასება, თვითშეფასება, ურთიერთშეფასება;
- შეფასებისას ნაცნობი ენობრივი კონსტრუქციების გამოყენება.

№	აქტივობის აღწერა	გამოყენებული მეთოდი/ მეთოდები	კლასის ორგანიზების ფორმა/ ფორმები	სასწავლო რესურსი	დრო (წთ)
1	**A ფაზა. გაკვეთილის დაწყება** **№1 აქტივობის მიზანი:** ***პოზიტიური და კომფორტული გარემოს, სამუშაო განწყობის შექმნა; მოსწავლეთა ცნობისმოყვარეობის გამოწვევა.*** 1. მასწავლებელი მოსწავლეებს წარუდგენს გაკვეთილის მთავარი გმირების ფოტოსურათებს; 2. აცნობს გაკვეთილის თემასა და მიზნებს.	დემონსტრირება ვერბალური	მთელი კლასი	კომპიუტერი, პროექტორი **სლაიდი №2, 3, 4** Персонажи урока 	2წთ
2	**B ფაზა. ახალი მასალის მიწოდება** **№2 აქტივობის მიზანი:** ***ილუსტრაციების გამოყენებით მოსწავლეთა მოტივაციისა და ტექსტის გაგების ხარისხის ამაღლება.*** 1. მასწავლებელი ახალ საკითხავ მასალაზე მუშაობას სლაიდებზე დასურათებული ტექსტის შეთავაზებით იწყებს. 2. მოსწავლეები აგრძელებენ იმავე ტექსტის კითხვას დასარიგებელ მასალაში – საკითხავ ფურცლებზე; მასწავლებელს წინასწარ გამოაქვს სლაიდზე კითხვები, რომელზედაც პასუხი უნდა გასცენ ტექსტის დამოუკიდებლად წაკითხვის შემდეგ (ჩუმი კითხვა და ხმამაღალი კითხვა); 3. კითხვებზე პასუხის გაცემა; 4. აქტივობის შეფასება კითხვა-პასუხით.	დემონსტრირება, ვიზუალურ-ვერბალური გაცნობითი კითხვა, ძიებითი კითხვა, ჩუმი კითხვა, ხმამაღლა კითხვა, შეფასება, კითხვა-პასუხი	მთელი კლასი	სლაიდები დასურათებული ტექსტით საკითხავი ფურცლები	7წთ 5წთ 3წთ
3	**ფილმი „ძმები“** **№3 აქტივობის მიზანი:** ***სკოლის ისტორიის შესახებ მიღებული ინფორმაციის უკეთ გაგება-გააზრება; მშობლიურ ენაზე მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რუსული ლექსიკის გააქტიურება-გამოყენება პრაქტიკაში.*** 1. ფილმის ჩვენება; 2. ფილმის მიხედვით შედგენილი, დაჭრილი რუსული ტექსტის გამთლიანება-დიალოგის შედგენა; 3. დიალოგის წარდგენა; 4. შეფასება (თვითშეფასება, ურთიერთშეფასება).	ვიზუალურ-შემეცნებით ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, სინთეზი, პრეზენტაცია, შეფასება	მთელი კლასი	ნაწყვეტი ფილმიდან „ძმები“ https://qetevankublashvili15.blogspot.com/p/blog-page.-html დასარიგებელი მასალა - დაჭრილი ტექსტი, ფლიპჩარტი, წებოვანი ლენტა ჯგუფური მუშაობის შეფასების სქემა	4წთ 5წთ 4წთ
4	**კითხვითი სიტყვის „როგორი“ ბრუნება** ***№4 აქტივობის მიზანი: გაკვეთილზე მიღებული ცოდნის განმტკიცება-შეფასება; გრამატიკული ცოდნის განმტკიცება-შეფასება ზედსართავი სახელის ბრუნებაზე გადასვლის წინ.*** 1. სავარჯიშო; 2. სავარჯიშო – სხვადასხვა ბრუნვებში გაბნეული კითხვითი სიტყვისთვის შესაბამისი ბრუნვის პოვნა.	გონებრივი იერიში, კითხვა-პასუხი, სინთეზი	მთელი კლასი	Ответьте на вопросы: 	6წთ 3წთ
5	**სარეზერვო აქტივობა** – მხიარული ლექსი (შეცდომებით) **აქტივობის მიზანი:** *ემოციური განმუხტვა.*		მთელი კლასი	სააზროვნო ამოცანა	2წთ
6	**C ფაზა. შეფასება-შეჯამება** **საშინაო დავალება** – დახატეთ და აღწერეთ თქვენი სკოლა.	შეფასება	მთელი კლასი	თვითშეფასების სქემა	4წთ 2წთ

გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი შედეგები:

უცხ.ს.III.1. მოსწავლეს შეუძლია მოისმინოს და გაიგოს უცხოენოვან თანამოსაუბრეთა შორის მიმდინარე ინტერაქცია (დიალოგი ყოფით თემებზე).
შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ამოიცნობს, სად და როდის მიმდინარეობს საუბარი;
- ამოიცნობს თანამოსაუბრეებს;
- ამოიცნობს საუბრის ძირითად თემას/საკითხებს;
- ამოკრებს კონკრეტულ ინფორმაციას (ვინ, რა, სად, როდის, რომელი, როგორი, რამდენი, რატომ და სხვა);
- საუბრის შინაარსიდან გამომდინარე, გამოაქვს დასკვნა თანამოსაუბრეთა ხასიათის, საქმიანობის, მომავალი გეგმების, ინტერესებისა და მათ შორის არსებული ურთიერთობის შესახებ.

უცხ.ს.III.7. მოსწავლეს შეუძლია წაიკითხოს და გაიგოს მცირე ზომის თხრობითი ტექსტი.
შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ამოიცნობს ზოგად შინაარსს;
- სათაურს გააზრებულად აკავშირებს ტექსტთან;
- ამოიცნობს პერსონაჟებს;
- ამოიცნობს მოქმედებათა თანამიმდევრობას;
- ასახელებს კონკრეტულ ინფორმაციას (ვინ, სად, როგორი, როგორ, რატომ და სხვა);
- ამოიცნობს პერსონაჟებს შორის არსებულ ურთიერთობებს;
- ახასიათებს პერსონაჟებს ექსპლიციტურად მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით.

უცხ.ს.III.9. მოსწავლეს შეუძლია ტექსტის/ნაწყვეტის ხმამაღალი კითხვა.
შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- სასვენი ნიშნების ფუნქციით იყენებს ინტონაციას;
- მეტყველებს გარკვევით და მკაფიოდ.

ჯგუფური მუშაობის შეფასების სქემა

შესასრულებელი ქმედებები	უჭირს	ახერხებს ნაწილობრივ	ახერხებს სრულყოფილად
სამუშაოს განაწილება			
ტექსტის აღდგენა			
ნამუშევრის წარდგენა			
ჩართულობა			

მოსწავლეთა თვითშეფასება

თემა: „ჩემი სკოლა“

შეაფასე .....

1. როგორ მოგეწონა ეს გაკვეთილი?
1-2-3
2. როგორი იყავი გაკვეთილზე?
აქტიური საშუალოდ აქტიური პასიური
3. როგორი იყო ახალი მასალა შენთვის?
სახალისო ყველაფერი გავიგე რთული გამიჭირდა ნაწილობრივ

სამუშაო ტექსტი

НАША ШКОЛА

В 1882 году в гурийской губернии, в Чохатаури, в имении предводителя дворянства гурииской губернии Константина Эристави, его брат Пётр(Пети) Эристави для жителей Чохатаури начал строительство школы, которая торжественно была открыта в 1884-ом году.

Сначала обучение проходило в первом и во втором классах. Чохатаурцы школу назвали «Школой Пети». Первыми преподавателями в этой школе были сам Пети и его супруга.

С 1930 года школа перешла на семилетнее обучение, а с 1933 года она стала средней школой.

В 1938 году начали строить новый центральный корпус, в 70-ых годах, из-за роста контингента, построили ещё один корпус.

Школа носит имя великого учённого Нико Марра. Школа имеет свой герб, свой гимн и своё знамя.

В 2015 году наша школа отметила свой 130-летний юбилей.

дაჭრილი ტექსტი აქტივობისთვის – დიალოგის შედგენა ფილმის მიხედვით

– Константин, пришёл Кокина Дгебуадзе!
.....
– Попроси, пожалуйста!
.....
– Прошу вас!
.....
– Ооо, господин Кокина, как поживаете? Прошу вас!
.....
– Благодарю, а вы ?
– Да вот, занимаюсь книгами, то читаю, то пишу.
.....
– Хочу сообщить, что вашим последним стихотворением восхищена вся страна, все наизусть знают, и я осмелился и сочинил к нему мелодию, если она вам не понравится, то тут же и сейчас же прекратим о ней разговор, вот ноты.
.....
– Что вы говорите, господин Кокина, мне очень приятно!
– Маргарита, принеси, пожалуйста, гитару!
.....
– Пожалуйста!
.....
– Замечательно!
.....
– О, брат, как я рад вашему приезду, познакомьтесь, мой брат Пётр и его супруга Нино, Кокина Дгебуадзе. Прошу вас!
.....
– Кокина, к моему стихотворению сочинил замечательную мелодию, я в восторге. Нино, наверно и ты знаешь моё последнее стихотворение?
– Конечно, знаю!
– Вот ноты, можно, споём вместе?
– С удовольствием!

ქეთევან კუბლაშვილი
ჩოხატაურის №1 საჯარო სკოლის წამყვანი მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა და რესურსები:
1. ეროვნული სასწავლო გეგმა;
2. ჩოხატაურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის საარქივო მასალა;
3. სკოლის ფოტოარქივი;
4. მასწავლებლის ბლოგი https://qetevankublashvili15.blogspot.com/p/blog-page.html